



**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო**

დამტკიცებულია ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის

22/12/2022წ ოქმით N2

ქ. თბილისი

კარი I	ზოგადი მიმოხილვა
კარი II	ეთიკის კოდექსი
კარი III	ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერგეტიკის სფეროში
კარი IV	ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის სტრატეგია
კარი V	სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობა
კარი VI	სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები
კარი VII	სამეთვალყურეო საბჭოს (ორგანიზაციის)კომიტეტები
კარი VIII	ორგანიზაციის დირექტორი
კარი IX	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები
კარი X	კორპორაციული მდივნის ფუნქციები
კარი XI	შვილობილი საწარმოს საქმიანობის კონტროლის მექანიზმი
კარი XII	შიდა კონტროლის და აუდიტის სისტემა
კარი XIII	აქციონერთა/პარტნიორთა/ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები
კარი XIV	ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

სახელმძღვანელო კორპორაციული დოკუმენტები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის მიზნით შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავდა და დამტკიცდა “კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო”, რომელმაც განსაზღვრა ორგანიზაციაში კორპორაციული მართვის პრინციპები და ანგარიშგების მოთხოვნები.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო წარმოადგენს კორპორაციული მართვის და კონტროლის ერთიან ჩარჩო სისტემას, რომელიც მოიცავს უფლებების და პასუხისმგებლობების განაწილებას, საკითხების განხილვის და დამტკიცების ცირკულარს, გადაწყვეტილებების მიღების და მონიტორინგის წესს.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო ორგანიზაციის წესდებასთან კონსოლიდურებულად უზრუნველყოფს, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გამჭვირვალობის ხარისხს, რომელიც თავის მხრივ ინვესტორთა ნდომის ამაღლების საფუძველია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ორგანიზაციის დირექტორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს, მის ქვეთავებთან, მათ შორის საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე დაინტერესებულ პირთა წვდომა ორგანიზაციის ვებ-გვერდის თუ სხვა ტექნიკური საშუალებით.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო სავალდებულოდ შესასრულებელი სახელმძღვანელო დოკუმენტია ორგანიზაციის ყველა პოზიციაზე მომუშავე, მმართველობითი ორგანოების თუ ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისთვის. მისი ხელმისაწვდომობა ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია ორგანიზაციის დირექტორის მიერ. კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსთან, მისგან გადახვევის შემთხვევაში მასში აღნიშნულია შესაბამისი მითითება განსხვავებული ნორმის ორგანიზაციის წესდებაში, სხვა კორპორაციულ დოკუმენტებში ასახვასთან დაკავშირებული გეგმის და თარიღის მითითებით.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო მოწონებულ იქნა ორგანიზაციის საერთო კრების მიერ. საერთო კრების გადაწყვეტილებით 2025 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდეს ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა, იქ სადაც ეს რელევანტურია ორგანიზაციის მიერ კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით. აღნიშნულის აღსრულების მიზნით ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებების პაკეტის ინიცირება დაევალოს ორგანიზაციის დირექტორს.

კარი II

ეთიკის კოდექსი

კომპანია და ყველა მისი შვილობილი კომპანია (შემდგომში ერთობლივად „კომპანია“ ან „საწარმო“) მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობის ყველა მიმართულებით დაიცვას ეთიკისა და პროფესიული ქცევის უმაღლესი სტანდარტები. შესაბამისად, წინამდებარე ეთიკის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) განსაზღვრავს ქცევის წესების სტანდარტებს, რომელიც ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე (შემდგომში – „თანამშრომელი“). საკითხები, რომლებიც არ არის „კოდექსით“ მოწესრიგებული, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „კომპანიის“ კორპორატიული სახელმძღვანელოთი ან/და სხვა პოლიტიკებით, პროცედურებით, სახელმძღვანელოებით ან „კომპანიის“ სხვა შესაბამისი შიდა დოკუმენტებით.

საწარმოში ეთიკის კოდექსის სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

წინამდებარე კოდექსის მიზანია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ბიზნეს-საზოგადოების სოციალურად პასუხისმგებელი წევრის რეპუტაცია, კომპანიაში უმაღლესი ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებების დაცვა, ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის პრევენცია;

მუხლი 2. კოდექსის პრინციპები

2.1. კომპანიის საქმიანობა ემყარება ფუნდამენტურ პრინციპებს და პოლიტიკას, რომლებიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღებისას და ასევე იძლევა საშუალებას, წარიმართოს საქმიანობა ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიის თითოეული თანამშრომელი იღებს ვალდებულებას იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული პრინციპებით.

2.2. კომპანიის საქმიანობა ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ადამიანის უფლებების პატივისცემა, ნდობა, წესიერება, პატიოსნება და სამართლიანობა, ვინაიდან ისინი წარმოადგენს არა მხოლოდ ბიზნესის წარმატებულად წარმართვის საწინდარს, არამედ მდგრადი განვითარების საფუძველსაც. „კომპანია“ მხარს უჭერს და იცავს საერთაშორისო დონეზე გაცხადებულ ადამიანის უფლებებსა და მისი თანამშრომლების ინტერესებს, უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ყველა თანამშრომლისთვის, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობებისა, არ უშვებს იძულებით და ბავშვთა შრომას, მონობას და ადამიანებით ვაჭრობას, არ უშვებს დისკრიმინაციის რაიმე ფორმას რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, რელიგიის, სოციალური წარმოშობისა და ნებისმიერი სხვა ნიშნით, უზრუნველყოფს თანამშრომლების სიცოცხლისა და შრომის უსაფრთხოებას, ქმნის ეფექტურ სამუშაო პირობებს, ასრულებს ნორმებს და მოთხოვნებს შრომის დაცვის, სამრეწველო და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში და ასევე ახორციელებს შრომის პირობების მუდმივად გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსს, ქმნის პირობებს თანამშრომლების მიერ მათი თანამდებობრივი მოვალეობების

სათანადო შესრულებისათვის და უზრუნველყოფს შრომის დაცვის და უსაფრთხოების მაღალ დონეს სამუშაო ადგილებზე.

2.3. კომპანიის საქმიანობა ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, კაპიტალდაბანდების დაცვაზე, რაციონალურ ხარჯვაზე, კომპანიის აქტივების დაცვასა და შენარჩუნებაზე, ასევე ყველა სახის საქმიან ურთიერთობაში საქმიანი ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების დაცვაზე.

2.4. კომპანია თავის საქმიანობაში ორიენტირებულია შრომის საბოლოო შედეგის მიღწევაზე, რომელიც აკმაყოფილებს კომპანიის პარტნიორების და ინვესტორების ინტერესებს.

2.5. კომპანია აცნობიერებს პასუხისმგებლობის მაღალ დონეს ყველა დაინტერესებული მხარის წინაშე.

2.6. კომპანია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულყოფილად შესრულება, მისი საქმიანობის შესახებ ინვესტორებისა და პარტნიორებისთვის ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობა, უტყუარობა და სისრულე, კორპორაციული მართვის ეფექტურობა და ღიაობა.

2.7. კომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ვალდებულებების შესრულების პრინციპით, როგორც გადახდების, ასევე ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სხვა პირობების ნაწილში.

2.8. კომპანია თავისი საქმიანობის განხორციელებისას მხარს უჭერს ნებისმიერი ფორმით და გამოვლინებით კორუფციის, ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და უშვებლობის პრინციპს.

მუხლი 3. კანონთან, პროცედურებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა

3.1. კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდეს და ასრულებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

3.2. კომპანია უზრუნველყოფს კანონთან, პროცედურებთან და რეგულაციებთან შესაბამისობას.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტი

4.1. კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია არ ჰქონდეს პირადი დაინტერესება ან ისეთი სახის ვალდებულება, რომელიც გავლენას მოახდენს მის საქმიანობაზე ან მიაღებნებს მას კომპანიისთვის საზიანო გადაწყვეტილებას.

4.2. კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია არ იკისროს სხვა მხარეთა წინაშე იმგვარი ვალდებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ან შეუსაბამობაში მოდის მის მიერ ამჟამად ან მომავალში განსახორციელებელ მოვლენებთან.

4.3. კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე, კომპანიის თანამშრომელს ეკრძალება კომპანიას შესთავაზოს ან თავად დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა ისეთ კომპანიაებთან, სადაც მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრები (ან/და მათთან დაკავშირებული პირები) ფლობენ წილს ან გააჩნიათ სხვა სახის ფინანსური ან კომერციული ინტერესი.

4.4. კომპანიის თანამშრომელს უფლება არ აქვს კომპანიის კლიენტისგან, პარტნიორისგან, მომწოდებლისგან ან კომპანიის რაიმე სახის მომსახურებით სარგებლის/ინტერესის მიღებით დაინტერესებული სხვა

ნებისმიერი მესამე პირისგან მიიღოს ფინანსური ან/და სხვა სახის სარგებელი კომპანიის სახელით რაიმე მოქმედების შესრულებისათვის.

4.5. კომპანიის თანამშრომლი, რომელიც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ვალდებულია კომპანიის მიერ ოფიციალურად დადგენილი საზღაურის (ხელფასის) საფასურად გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არ აქვს ამისათვის მოითხოვოს ან მიიღოს დამატებითი ანაზღაურება ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის სახით.

4.6. ინტერესთა კონფლიქტის ფაქტის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს ან კომპანიის დირექტორს.

მუხლი 5. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და კორუფციის თავიდან აცილება

5.1. კომპანიის თანამშრომელს უფლება არა აქვს, სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება;

5.2. კომპანიის თანამშრომელს უფლება არა აქვს, გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

5.3. კომპანიის თანამშრომელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. თანამშრომელმა ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.

5.4. კომპანიის თანამშრომელმა თანამდებობა ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობი არ უნდა გამოიყენოს ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე არ უნდა შეუწყოს ხელი მისთვის ამ სიკეთის გადაცემას ან მის მიღებას.

5.5. კომპანიის თანამშრომლები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ ხელშეკრულების მხარეების, ფიზიკური პირების, აგრეთვე ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ან მისი წარმომადგენლის, პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატის, თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოხელის, ან ნებისმიერი პირისთვის, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ორგანიზაციის სახელით ფულადი ან სხვა რაიმე მატერიალური ფასეულობების პირდაპირი ან არაპირდაპირი გადაცემისგან, შეთავაზების და დაპირების ჩათვლით, ეკონომიკური პრივილეგიების ან სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით.

5.6. თანამშრომლებს ეკრძალებათ პირდაპირ ან ირიბად, პირადად ან რაიმე შუამავლობის მეშვეობით თაღლითურ სქემებში და/ან კორუფციულ ქმედებებში მონაწილეობის მიღება ქრთამის მიცემის და მიღების ჩათვლით.

მუხლი 6. ინსაიდერული ვაჭრობის აკრძალვა

6.1. თანამშრომლებმა თავიანთი სამუშაოს შესრულებისას შეიძლება მიიღონ წვდომა შიდა ინფორმაციაზე, რომელიც ჯერ არ გახმაურებულა, აგრეთვე მომხმარებლების, კონკურენტების და კონტრაქტორების შესახებ. თანამშრომლებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია საკუთარი ინტერესებისათვის ან მათი ნათესავებისათვის.

6.2. კომპანიისთვის მიუღებელია შიდა ინფორმაციით ვაჭრობა ან მისი არასათანადო გამჟღავნება;

6.3. კომპანიის იმ თანამშრომელს, რომელიც ფლობს ინსაიდერულ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ეკრძალება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით თავის ან მესამე პირის სასარგებლოდ, ვაჭრობა/ვაჭრობის მცდელობა, მესამე პირისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემა ან მესამე პირის ინსაიდერულ ვაჭრობაზე დაყოლიება;

6.4. კომპანიის თანამშრომლები არ უნდა ჩაერთონ ინსაიდერულ ვაჭრობაში, ინსაიდერულ გარიგებაში, არასათანადო შესყიდვაში ან შიდა ინფორმაციის გამჟღავნებაში.

7. ფულის გათეთრების აკრძალვა

7.1. კომპანიისთვის მიუღებელია ეკონომიკური დანაშაული, მათ შორის ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება.

7.2. კომპანია განსაზღვრავს ფულის გათეთრებას, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც უკანონო ქმედებებიდან მიღებული სარგებელი ისეა შენიღბული, თითქოს ისინი კანონიერი წყაროებიდანაა მიღებული. ეს მოიცავს შემოსავლების დამალვას, შეძენას, გამოყენებას და მსგავსი შემოსავლების ფლობას ან მსგავსი შემოსავლების შეძენის, გამოყენების, დაკავების ან კონტროლის უზრუნველყოფას;

7.3. კომპანიის თანამშრომლებმა არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის მომსახურების მიწოდება ან გააფორმონ ისეთი შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს კომპანიის პირდაპირ ან ირიბად ეკონომიკურ დანაშაულში ჩაბმას, მათ შორის ფულის გათეთრებაში.

7.4. კომპანიის თანამშრომლებმა არ უნდა მიმართონ რაიმე სახის თანხები უკანონო ქმედებისაკენ ან მხარი დაუჭირონ უკანონო ქმედებებს რაიმე სახით (მაგ. ტერორიზმი, გადასახადებისთვის თავის არიდება, თაღლითობა).

მუხლი 8. საწარმოს თანამშრომლების ვალდებულებები

8.1. საწარმოს თანამშრომლები ვალდებული არიან:

8.1.1. მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, პროფესიონალურად, საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

8.1.2. საწარმოს ინფორმაცია და აქტივები გამოიყენონ მხოლოდ მიზნობრივად;

8.1.3. კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობით და გონივრულად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები, იხელმძღვანელონ კომპანიის ინტერესების პრიორიტეტით და არ დაუშვან პიროვნული ინტერესების, აგრეთვე მათი ოჯახის, მეგობრების ინტერესების და სხვა პირადი ურთიერთობების გავლენა კომპანიის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და შედეგზე და ამასთან გამოხატონ ლოიალობა;

8.1.4. საქმიან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ კომპანიის ინტერესებით;

8.1.5. თავი შეიკავონ კომპანიის ქონებისა და შესაძლებლობების პირადი სარგებლობისთვის გამოყენებისაგან;

8.1.6. არ მიიღონ საჩუქრები, მომსახურება ან სხვა სარგებლი, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან, რომლებსაც აქვთ საქმიანი ურთიერთობები კომპანიასთან ან ცდილობენ ასეთი ურთიერთობების დამყარებას, ასევე არ განახორციელოს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზება;

8.1.7. მათი ინტერესების კომპანიის ინტერესებთან რაიმე პოტენციური ან ფაქტობრივი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში აცნობონ ამის შესახებ კომპანიას შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8.1.9. საწარმოს საქმიანობის პროცესში უზრუნველყოს კანონმდებლობასთან და კომპანიის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებთან, მათ შორის წინამდებარე ეთიკის კოდექსთან შესაბამისობა;

მუხლი 9. რისკების მართვა და შიდა კონტროლი

9.1. კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას რისკზე ორიენტირებული მიდგომის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს კომპანიის მიზნების მიღწევაზე ინტერესების პრიორიტეტით და არ დაუშვან პიროვნული ინტერესების, აგრეთვე მათი ოჯახის, მეგობრების ინტერესების და სხვა პირადი ურთიერთობების გავლენა კომპანიის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და შედეგზე და ამასთან გამოხატონ ლოიალობა.

9.2. ინტერესებთან რაიმე პოტენციური ან ფაქტობრივი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლები ვალდებული არიან აცნობონ ამის შესახებ კომპანიას შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

9.3. კომპანიაში ფუნქციონირებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ რწმენას კომპანიის სტრატეგიული და ოპერაციული მიზნების მიღწევაში, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობაში, აქტივების დაცულობის უზრუნველყოფაში, ანგარიშგების სისრულესა და საიმედოობაში, საკანონმდებლო და კომპანიის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობაში.

9.4. კომპანია უზრუნველყოფს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის პროცედურების მუდმივ სრულყოფას მისი მისიის და პრინციპების დაცვით, მათ შორის, შემდეგის მეშვეობით: ა) რისკების და რისკ-ფაქტორების გამოვლენის, შეფასების, პროფილაქტიკისა და მინიმიზაციის, აგრეთვე რეალიზებული რისკების შედეგების დარეგულირების პროცესები; ბ) კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების საიმედოობას და რისკების შემცირებას რისკის ფაქტორებზე პრევენციული ზემოქმედების ხარჯზე.

9.5. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომელთა პირადი ინტერესების კომპანიის ინტერესებთან კონფლიქტი, შეიძლება უკიდურესად უარყოფითად აისახოს მის რეპუტაციაზე და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის მომგებიანობასა და ეფექტურობას. ამასთან დაკავშირებით, კომპანია იღებს კანონმდებლობით და შიდა დოკუმენტებით დაშვებულ ყველა ზომას ინტერესთა პოტენციური ან ფაქტობრივი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

9.6. თანამშრომლებს, კომპანიის მართვის და კონტროლის ორგანოების წევრებს, ეკრძალებათ საჩუქრების (კანონმდებლობით და კომპანიის შიდა დოკუმენტებით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით), მომსახურების ან სხვა სარგებლის, როგორც მატერიალურის, ისე არამატერიალურის, მიღება პირებისგან ან

ორგანიზაციებისგან, რომლებსაც აქვთ საქმიანი ურთიერთობები კომპანიასთან ან ცდილობენ ასეთი ურთიერთობების დამყარებას.

9.7. დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს მიმართვის დღის მომდევნო პირველი სამუშაო დღის დასრულებისა) შეატყობინონ უსაფრთხოების განყოფილებას, კორუფციული სამართალდარღვევების ჩასადენად მასთან ნებისმიერი პირის მიმართვის ყველა შემთხვევის შესახებ.

9.8. კომპანიის თანამშრომლს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ დისციპლინურ წარმოებაში, რომელიც წარმოებს მის მიმართ ან წარმოების შედეგად, პოტენციურად შესაძლებელია გამოიკვეთოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;

მუხლი 10. უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურები

10.1. კომპანიაში დანერგილია ანონიმური მხილების ეფექტური სისტემა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება.

10.2. კომპანიის თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების შესახებ შეტყობინება დააფიქსირონ შემდეგი ელ. ფოსტის გამოყენებით: information.center@edgeorgia.ge მითითებული ელ. ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციები მიიღება და მუშავდება შესაბამისი პირის მიერ და კონფიდენციალურობა გარანტირებულია. შესაბამისი პირი შეისწავლის შეტყობინებაში დაფიქსირებულ ფაქტს და პრობლემის გადასაჭრელად რეკომენდაციას გაუწევს შესაბამისი ზომების მიღებას. ინფორმაციის გაანალიზება ხდება ობიექტური და მიუკერძოებელი კრიტერიუმების გამოყენებით.

10.3. იმ პირის საქმიანობას, რომელიც დანიშნულია უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების შესახებ შეტყობინების მიღებაზე და შესაბამის რეაგირებაზე, მონიტორინგს უწევს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეისწავლოს ამ პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, მოსთოვოს მას შესრულებული სამუშაოს ანგარიში, შეამოწმოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა დადგენილ რეგულაციებთან და წინამდებარე კოდექსთან მიმართებაში.

10.4. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭომ.

კარი III

ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერგეტიკის სფეროში

კომპანიის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია კომპანია:

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ მართავს კასკადურ ჰიდროელექტროსადგურებს. „კომპანია“ ჯამურად ფლობს 15.25 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერგიის აქტივებს, რომელთა საშუალო ეფექტიანობა 49.4%-ია. „კომპანიის“ აქტივები და მათი სიმძლავრეებია: 8 მგვტ „საშუალა ჰესი 1“, 5 მგვტ „საშუალა ჰესი 2-ისა“ და 2.25 მგვტ „საშუალა ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურები. საშუალა ჰესი 2 ოპერირებს 2019 წლის დეკემბრიდან, საშუალა ჰესი 1 ექსპლუატაციაში გაეშვა 2020-ის დეკემბერში, ხოლო საშუალა ჰესმა ოპერირება დაიწყო 2022 წლის დეკემბრის თვეში.

„კომპანია“ ძირითადად ახორციელებს ელექტროენერგიის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე და სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ასევე აქვს უფლება მაისი-აგვისტოს პერიოდში განახორციელოს თავისუფალი არჩევანი და მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში (თურქეთის საექსპორტო ხაზი ახალციხე-ბორჩხა გარანტირებული დაშვების უფლებით).

კომპანიას ყველა ელექტროსადგური, გარდა საშუალა ჰესისა, სარგებლობს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან“ („ესკო“, ს/ნ: 205170036) ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით („PPA“) (დამატებითი ინფორმაცია PPA-სთან დაკავშირებით იხილეთ ქვეთავში „ძირითადი ბაზრები“), რაც იწვევს დოლართან დაკავშირებულ ფულადი სახსრების პროგნოზირებად ნაკადებს, რადგან ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები ფიქსირდება აშშ დოლარში.

„კომპანიის“ აქტივების არსებული პორტფელი მოიცავს სამ ჰიდროელექტროსადგურს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სადგურების შესახებ დეტალური ინფორმაცია:

*-ეფექტურობის მაჩვენებლების დასათვლელად გამოყენებულია P50 დაგეგმილი მონაცემები

ელექტროსადგური	ადგილმდებარეობა	სიმძლავრე, მგვტ	გაშვების წელი	ეფექტურობის მაჩვენებელი, %	PPA ფასი, აშშ ცენტი/კვტსთ	PPA დაფარვა	PPA ვადის გასვლის თარიღი
საშუალა ჰესი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2.25	2022	53.8%*	N/A	N/A	N/A
საშუალა ჰესი 1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	8	2020	48.7%	6 აშშ ცენტი/კვტსთ	8 თვე/10 წ.	28/07/2031
საშუალა ჰესი 2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	5	2019	50.7%	6 აშშ ცენტი/კვტსთ	8 თვე/10 წ.	01/10/2030

საშუალა ჰესი 1 ჰიდროელექტროსადგური. საშუალა ჰესი 1 არის მდინარის მოდინებაზე (run-of-the-river) მომუშავე სადგური 8 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელი მეწიეთის მიმდებარედ. ჰიდროელექტროსადგურის ბეტონის სამუშაოები ჩაატარა შპს მეტტამ, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურა კი სს ელექტროქსელმშენმა. მშენებლობას ზედამხედველობას უწევდა „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ – EMG. საშუალა ჰესი 1 ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წლის 2 თებერვალს. მშენებლობის ფაქტობრივი ღირებულება ერთ მეგავატზე იყო დაახლოებით 1.5 მილიონი აშშ დოლარი (დღგ-ს გარეშე). ესკო-სთან გრძელვადიანი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით (“PPA”) ემიტენტი ყიდის ელექტროენერგიას ფიქსირებულ ფასში 6 ცენტი კვტ/სთ-ზე. საშუალა ჰესი 1 ახორციელებს ელექტროენერგიის რეალიზაციას ორმხრივი ხელშეკრულებით მაისი-აგვისტოს პერიოდში ისეთ კომპანიებთან როგორც არის სს „ენერგო პრო ჯორჯია“, შპს „ჭიათურ მანგანუ ჯორჯია“ და სს „რუსთავის აზოტი“. 2022 წელს საშუალა ჰესი 1-ის შემოსავლების განაწილება შემდეგნაირი იყო: 7.4% მიღებულია ექსპორტიდან, 20.1% მიღებულია პირდაპირი მყიდველებისგან, ხოლო 72.4% წარმოადგენს PPA ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემოსავალს ესკო-სგან. 2022 წელს საშუალა ჰესი 1-მა გამოიმუშავა ჯამში კომპანიის ელექტროენერგიით გენერირებული შემოსავლების 59.0%.

საშუალა ჰესი 2 ჰიდროელექტროსადგური. ჰესი ასევე მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ჰესის დადგმული სიმძლავრე 5 მეგავატია. სამშენებლო სამუშაოები ასევე შეასრულა შპს მეტტამ და სს საქენერგო რემონტმა. ელექტროგადამცემ ინფრასტრუქტურაზე მუშაობდა სს ელექტროქსელმშენი. მშენებლობას ზედამხედველობას უწევდა საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი – EMG. ჰესის მშენებლობა დაიწყო 2018 წლის

აპრილში და ის ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წლის 24 დეკემბერს. ელექტროენერგიის შესყიდვის გარანტირებული ხელშეკრულების (“PPA”) შესაბამისად ემიტენტი ელექტროენერგიას ყიდის ფიქსირებულ ფასში 6 ცენტი კვტ/სთ-ზე. საშუალო ჰესი 2 ახორციელებს ელექტროენერგიის რეალიზაციას ორმხრივი ხელშეკრულებით მაისი-აგვისტოს პერიოდში ისეთ კომპანიებთან როგორც არის სს „ენერგო პრო ჯორჯია“, სს „თელასი“, შპს „ელექტროენერგიის ტრეიდერი“ და სს „რუსთავის აზოტი“. 2022 წელს საშუალო ჰესი 2-ის შემოსავლების განაწილება შემდეგნაირი იყო: 8.4% მიღებულია ექსპორტიდან, 21.3% მიღებულია პირდაპირი მყიდველებისგან, ხოლო 70.3% წარმოადგენს PPA ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემოსავალს ესკოსგან. 2022 წელს საშუალო ჰესი 2-მა გამოიმუშავა ჯამში კომპანიის ელექტროენერგიით გენერირებული შემოსავლების 41.0%.

2022 წელს საქართველოს ენერგოსისტემაში დეფიციტური (როდესაც ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების ჯამური გენერაცია აღემატება ჯამურ მოწოდებას) იყო 9 თვე (აპრილი, მაისი, ივნისის გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ ემიტენტი ამ თვეებში გამოიმუშავებს გენერაციის დიდ ნაწილს (2022 წელს აღნიშნულ თვეებზე მოდიოდა ჯამური გენერაციის 70.1%), რაც ამცირებს ელექტროენერგიის გაყიდვის რისკს. ამავდროულად, საშუალო ჰესი 1-ს და საშუალო ჰეს 2-ს აქვთ PPA ხელშეკრულებები, რომლითაც დაფარულია წელიწადის 8 თვე (მაისი, ივნისი, ივლისისა და აგვისტოს გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ ემიტენტი ამ თვეებში გამოიმუშავებს გენერაციის დიდ ნაწილს (2022 წელს აღნიშნულ 8 თვეში დააგენერირა საკუთარი ჯამური წლიური გენერაციის 66.6%), რასაც გარანტირებულად ყიდის.

საშუალო ჰესი ჰიდროელექტროსადგური. საშუალო ჰესი ასევე მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ჰესი არის 2.25 მეგავატი დადგმული სიმძლავრის. სამშენებლო სამუშაოები ემიტენტმა თვითონ შეასრულა, ხოლო მშენებლობას ზედამხედველობას უწევდა „საინჟინრო საკონსულტაციო ჯგუფი“- ESG. ჰესის მშენებლობა დაიწყო 2021 წლის აგვისტოში და ის ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წლის 22 დეკემბერში. როგორც ახალ პროექტს, საშუალო ჰესს არ აქვს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (“PPA”) და ელექტროენერგიას სრულად გაყიდის ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე.

კომპანია სამივე ჰიდროელექტროსადგურზე იყენებს მაღალი ხარისხის ევროპულ ტექნოლოგიებს და დანადგარებს, რომლებიც დამახასიათებელია განახლებადი ენერგიის ბიზნესებისთვის. მათ შორის არის ტურბინები, ჰიდრავლიკის სისტემა, გენერატორი, ელექტრული მოწყობილობები, ტრანსფორმატორები, მილსადენი. კონკრეტულად, ემიტენტს ჰესები აღჭურვილი აქვს Vaptech-ის, Schneider-ისა და Noksel-ის ევროპული დანადგარებით.

კომპანიამ 2022 წლის გენერაციის დაახლოებით 66.6%-ის რეალიზაცია განახორციელა სახელმწიფოზე, PPA ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით, ხოლო 2021 წელს კომპანიამ გამოიმუშავებული ენერგიის 76.2%-ის რეალიზაცია მოახდინა PPA-ს ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ფარგლებში „კომპანიას“ აქვს უფლება გარკვეული პერიოდულობით განახორციელოს თავისუფალი არჩევანი და მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში (თურქეთის საექსპორტო ხაზი ახალციხე-ბორჩხა გარანტირებული დამშვების უფლებით).

ძლიერი მხარეები

გენერირებული ენერგიის დაგეგმილზე უკეთესი მაჩვენებლები

საშუალა ჰესი 1 და 2 გამოირჩევა იმით, რომ აჭარბებს როგორც P75-ით ასევე P90-ით დაგეგმილ გენერაციებს. 2022 წელს P75-ით და P90-ით დაგეგმილმა გენერაციებმა შეადგინა - 50.00 და 42.5 მეგავატი, შესაბამისად, ხოლო 2022 წლის ფაქტობრივმა გენერაციამ 50.80 მეგავატს მიაღწია. შემოსავლებით კუთხით კი P75-სა და P90-ზე დაგეგმილი იყო 8.1 მლნ და 6.9 მლნ ლარი, შესაბამისად, ხოლო 2022 წლის ფაქტობრივმა შემოსავლებმა 8.3 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ჰესები გამოირჩევა მაღალი გენერაციებით როგორც აპრილი-მაისის პერიოდში, ისევე მეოთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი), რაც გამოწვეულია იმით, რომ მდინარე საშუალა თოვლსა და წვიმისთან ერთად საზრდოობს მიწისქვეშა წყლებით. აღნიშნული განაპირობებს მდინარეების წყალუხვობას და მაღალ გენერაციებს არამარტო გაზაფხულზე, არამედ ზამთარშიც.

დეფიციტურ თვეებში მაღალი გამომუშავება

2022 წელს საქართველოს ენერგოსისტემაში დეფიციტური (როდესაც ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების ჯამური გენერაცია ნაკლებია ჯამურ მოწოდებაზე) იყო 9 თვე (აპრილი, მაისი, ივნისის გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ ემიტენტი ამ თვეებში გამოიმუშავებს გენერაციის დიდ ნაწილს (2022 წელს აღნიშნულ თვეებზე მოდიოდა ჯამური გენერაციის 70.1%), რაც ამცირებს ელექტროენერგიის გაყიდვის რისკს.

ელექტროენერგიის ბაზრის პოზიტიური დინამიკა

„კომპანია“ სარგებლობს ელექტროენერგიის ბაზრის პოზიტიური დინამიკით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია ელექტროენერგიის მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე მიწოდების დეფიციტით და განახლებადი ელექტროსადგურების განვითარების ნელი ტემპით საქართველოში. ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა იმპორტმა დააკმაყოფილა, რის შედეგადაც საქართველო თანდათან გახდა ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორი.

მენეჯმენტი მოელის ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდის გაგრძელებას, ნაწილობრივ მშპ-ს ზრდის მოლოდინიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელი, მჭიდრო კავშირშია ელექტროენერგიის მოთხოვნასთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაზრდილ მოთხოვნასთან და ასევე, სწრაფად მზარდ ტურისტულ სექტორთან.

იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერგიის წილის გაზრდა ადგილობრივ მიწოდებაში დამატებით ზეწოლას ქმნის ელექტროენერგიის ფასებზე. ზოგადად, იმპორტზე დამოკიდებული ელექტროენერგია (პირდაპირი იმპორტი, თბოსადგურების გამოიმუშავება) უფრო ძვირია, ვიდრე ადგილობრივი წარმოება. მიწოდება/მოთხოვნის ბალანსის შემდგომი გაუარესება დიდი ალბათობით გამოიწვევს გაძვირებული ელექტროენერგიის დამატების საჭიროებას, რაც სავარაუდოდ უმეტეს თვეებში ზეგავლენას მოახდენს და განსაზღვრავს საბაზრო ფასს.

ჰეჯირებული სავალუტო რისკი

„ემიტენტს“ ჰეჯირებული აქვს სავალუტო რისკები, რადგანაც PPA ხელშეკრულებებით ფასი განსაზღვრულია აშშ დოლარში და არ ექვემდებარება ცვლილებას საკონტრაქტო პერიოდზე. გარდა ამისა, ელექტროენერგიის საბაზრო ფასწარმოქმნა საქართველოში ხდება აშშ დოლარში, იქიდან გამომდინარე, რომ ფასების

მამოძრავებელი ძირითადი ფაქტორები, როგორიცაა იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასი, ასევე დეინდება აშშ დოლარში. ამასთან ერთად, კომპანიის ფულადი მოძრაობის უწყისში ჩანს, რომ კომპანიის მთავარი ფულადი გასავლები უკავშირდება სესხების გადახდას, რომელთა უმეტესობაც წარმოდგენილია აშშ დოლარში (დეტალები თავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“) ეს ეფექტურად უზრუნველყოფს „კომპანიის“ ჰეჯირებას ლარის გაუფასურებისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ დოლარი/ლარის კურსის ბოლო პერიოდების რყევების გათვალისწინებით.

სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, გამოწვეული PPA ხელშეკრულებების მოცულობითი დაფარვითა და დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯებით

„კომპანიის“ აქვს სტაბილური და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები, რაც დიდწილად გამოწვეულია მისი შემოსავლების მაღალი ხილვადობით (PPA ხელშეკრულებებიდან გამომდინარე), დაბალი სარემონტო კაპიტალური დანახარჯების თუ ტექნიკური დანაკარგებით. საშუალო ჰესი 1 და საშუალო ჰესი 2 მათ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის რეალიზაციას ახდენს PPA ხელშეკრულებებით, რომლის მიმღებსაც ESCO წარმოადგენს. PPA ხელშეკრულება მოქმედებს სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდში, ხოლო მაისიდან აგვისტომდე პერიოდში ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საბაზრო ფასებში იყიდება. აღსანიშნავია, რომ ემიტენტი PPA-ით დაფარულ თვეებში გამოიმუშვებს მისი გენერაციის დიდ ნაწილს (2022 წელს აღნიშნულ 8 თვეში დააგენერირა საკუთარი ჯამური წლიური გენერაციის 66.6%). კომპანიის PPA ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია ფასები, რაც უზრუნველყოფს ემიტენტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წილის პროგნოზირებას.

სადგურების საშუალო ასაკის გათვალისწინებით, ელექტროსადგურების სარემონტო კაპიტალური დანახარჯების მოთხოვნები შედარებით დაბალია. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ტექნიკური სამუშაოების უმეტესობა, და ჰესების ყველა შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები, უკვე შედის საოპერაციო ხარჯებში. გარდა ამისა, ჰესები, ექსპლუატაციის პირველი 30 წლის განმავლობაში, არსებითად არ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

ხელსაყრელი მარეგულირებელი რეჟიმი, ელექტროენერგიის ბაზრის დერეგულირების შედეგად მოსალოდნელი დამატებითი შესაძლებლობებით

საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარი დერეგულირების პროცესშია ორივე, მოხმარებისა და გენერაციის მხრივ. დერეგულაციის პირველი დიდი ტალღა განხორციელდა 2018 წლის მაისში, როდესაც ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლები რეგულირებული ფასწარმოქმნის მექანიზმიდან საბაზრო ფასწარმოქმნაზე გადაერთვნენ. 2018 წლის შემდეგ, დერეგულირება შეეხო ყოველ ისეთ მომხმარებელს, რომელთა ყოველთვიური მოხმარებაც 0.4 გვტ.სთ-ს აღემატებოდა და გააჩნდა პირდაპირი წვდომა 35-110 კილოვატის მქონე გადაცემის ხაზზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია დერეგულირებული ელექტროენერგიის ბაზრის მოცულობის გასამმაგება საქართველოში. უკვე დაგეგმილია დერეგულაციის შემდგომი ტალღებიც, რომლებიც გულისხმობს ყოველთვიურ მოხმარებისა და ქსელთან მიერთების ხაზის ძაბვის უფრო მკაცრი კრიტერიუმების შემოღებას. სამომავლოდ, 2026 წლიდან დაგეგმილია ყველა ტიპის მომხმარებლის დერეგულირება გარდა საცალო და მცირე კომერციული მომხმარებლებისა.

მიწოდების მხარეს რაც შეეხება, ყველა ჰიდრო ელექტროსადგური, რომელიც გაშვებულია 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, სრულად დერეგულირებულია და თანდათანობით მიმდინარეობს ძველი ელექტროსადგურების დერეგულირება. 2017 წლის ივნისში, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის ფარგლებშიც 40 მგვტ-ზე ნაკლები დადგმული სიმძლავრის ყველა ჰესი დერეგულირდა, რაც შემდგომში 65 მგვტ.-მდე გაიზარდა და პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, თანდათანობით განხორციელდება ელექტროსადგურების დიდი ნაწილის დერეგულირება.

მენეჯმენტი თვლის, რომ ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირება დადებითად იმოქმედებს ელექტროენერგიის გაყიდვის ფასებზე, ბაზრის ლიკვიდობის გაზრდისა და საბაზრო ფასებზე პირდაპირი ზეგავლენის ხარჯზე, რაც თავის მხრივ განპირობებული იქნება მოგებაზე ორიენტირებული ბაზრის მოთამაშეთა რაოდენობის ზრდით.

მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი

მმართველი ორგანო დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებსაც აქვთ ბიზნესის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და ფლობენ სათანადო კვალიფიკაციას კომპანიის წარმატებით განსავითარებლად. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ სხვადასხვა სექტორებში (HoReCa, უძრავი ქონების გაქირავება, სურსათის წარმოება და დისტრიბუცია, მშენებლობა, განათლება და სხვა) არსებული წარმატებული კომპანიების მართვის გამოცდილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მენეჯმენტის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება ენერგეტიკის სექტორში, რაც სხვა დანარჩენთან ერთად კარგ წინაპირობას ქმნის წარმატებული საქმიანობისთვის.

1.1. გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები)

1.1.1. იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩამლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის.

ელექტროენერგიის ბაზარი მოიცავს ორ სეგმენტს: საბითუმო და საცალო.



ელექტროენერგეტიკული ბაზარი იყოფა ორ ნაწილად - საცალო ბაზარი და საბითუმო ბაზარი. საცალო ბაზარზე მომხმარებლები არიან: საყოფაცხოვრებო სექტორი, მცირე და საშუალო საწარმოები და გარკვეული სახელმწიფო ორგანიზაციები. საცალო მომხმარებლის ელექტროენერგიის ტარიფს არეგულირებს და ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდებლები არიან შპს „თელმიკო“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. ელექტროენერგიას ისინი საბითუმო ბაზარზე ყიდულობენ და საცალო მომხმარებლებს აწვდიან. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ფასს არ არეგულირებს „სემეკი“, გარდა „თელმიკოს“ და სს „ეპ ჯორჯიას“ არეალში არსებული მოწყვლადი მომხმარებლებისთვის (საყოფაცხოვრებო სექტორი და მცირე ბიზნესი), რისთვისაც ბაზრის ფასსა და სემეკის დაგენილ ფასს შორის არსებულ სხვაობაზე ფორმდება ფასებს შორის სხვაობის ხელშეკრულება. საცალო ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება თვეში ერთხელ.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი უფრო დივერსიფიცირებულია ბაზრის მოთამაშეების თვალსაზრისით. ამ ბაზარზე გამყიდველები არიან ელექტროსადგურები (ჰიდრო, თბო, მზის ან ქარის), იმპორტიორები ან საბითუმო მიმწოდებლები (იგივე ელექტროენერგიის „მოვაჭრეები“ ან ტრეიდერები). საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიას ყიდულობენ ელექტროენერგიის მიმწოდებლები („თელმიკო“ და „ეპ ჯორჯია მიწოდება“), პირდაპირი მომხმარებლები (დიდი სამრეწველო კომპანიები - 55 კომპანია 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით), ექსპორტიორები (40 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 2021 წელს მხოლოდ 5 იყო აქტიურად ჩაბმული ვაჭრობაში) ან მოვაჭრეები (თებერვლის მდგომარეობით 20 რეგისტრირებული კომპანია, საიდანაც 5 ვაჭრობდა 2021 წელს). საბითუმო ბაზრის ყველა მონაწილე თავისი კონტრაქტორის არჩევანში თავისუფალია. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე მიწოდების მხარეს არის 100-ზე მეტი ელექტროენერგიის მწარმოებელი, 29 იმპორტიორი (თუმცა 2020-21 წლებში მხოლოდ 5 იყო აქტიური) და 20 მოვაჭრე (მხოლოდ 5 იყო 2020 და 2021 წლებში აქტიურად ჩართული ელექტროენერგიის ვაჭრობაში). საქართველოში ელექტროსადგურები ელექტროენერგიას ყიდნიან ESCO-ზე PPA-ს პირობებით (თუ ასეთი ხელშეკრულება არსებობს), ან თავისუფალ ბაზარზე ორმხრივი ხელშეკრულებებით. თუ ბაზრის მონაწილე ვერ პოულობს კონტრაქტორს ან არ აქვს PPA, ESCO ყიდულობს მისგან ნებისმიერი უკონტრაქტო, მაგრამ გამომუშავებულ ენერგიას. ორმხრივი ხელშეკრულებები განსაზღვრავს ელექტროენერგიის მიწოდების პირობებს, მოცულობას, ტარიფს და პერიოდს. მათი პირობები კომერციული საიდუმლოებაა და საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. 2021 წელს, საბითუმო ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიის 76% გაიყიდა ორმხრივი ხელშეკრულებების გზით, ხოლო დანარჩენი ენერგია გაიყიდა ესკოს გავლით.

დღევანდელ ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება ყოველთვიურად. ეს შეიცვლება 2023 წლის გაზაფხულიდან, როდესაც საქართველოში განხორციელდება საბითუმო ბაზრის რეფორმა და ანგარიშსწორების ვადა შემცირდება ყოველი დღის გარკვეულ (შეთანხმებულ) საათამდე. დღეს მოქმედი წესებით და არსებული პრაქტიკის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულებების ფასი ხშირადაა დაკავშირებული ESCO-ს გასაყიდ ფასთან (მაგ. ხელშეკრულების ფასი შეიძლება დაფიქსირებული იყოს, როგორც ესკოს გასაყიდ ფასზე 5%-ით ნაკლები) სწორედ ამიტომ ESCO-ს ფასი მიიჩნევა ელექტროენერგიის საორიენტაციო ფასად საქართველოში. ESCO-ს გასაყიდი ფასი დაიანგარიშება როგორც იმპორტის, PPA-ების და ნებისმიერი დაუკონტრაქტებელი გასაყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი. მომავალი ბაზრის მოდელში, რომელიც ძალაში შევა 2023 წლის გაზაფხულიდან, ელექტროენერგიის ბაზრის ამჟამინდელი მოდელი შეწყვეტს ფუნქციონირებას. ამიტომ ESCO-ს ფასი აღარ იქნება საბითუმო ბაზრის საორიენტაციო ფასი საქართველოში და მისი ფორმირება დამოკიდებული იქნება ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე.

დიაგრამა 1: ელექტროენერგიის ბაზრის
სტრუქტურა საქართველოში

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის გაყიდვა
ხელშეკრულების ტიპის მიხედვით, 2021 წ



წყარო: ESCO, GNERC, Galt & Taggart-ის კვლევა [ივნისი, 2022]

წყარო: ESCO, GNERC, Galt & Taggart-ის კვლევა [ივნისი, 2022]

ელექტროენერგიის წარმოების ბაზარი ნაწილობრივ დერეგულირებული და თითქმის სრულად პრივატიზებულია. მომავალშიც, სავარაუდოდ, მხოლოდ ენგური და ვარდნილი დარჩებიან სახელმწიფო საკუთრებაში, რადგან ისინი ნაწილობრივ მდებარეობენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გარდაბანი-1 და გარდაბანი-2 თბოელექტროსადგურები ასევე ეკუთვნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას - „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“. ყველა სხვა ელექტროსადგური კერძო საკუთრებაშია. 2008 წლის აგვისტომდე აშენებული ჰიდროელექტროსადგური, რომლებსაც 65 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრე აქვთ, და ყველა თბოელექტროსადგური რეგულირდება GNERC-ის მიერ. რეგულირებული სადგურებისთვის დაწესებულია გასაყიდი ტარიფის ზედა ზღვარი. ეს ზღვარი არ მოქმედებს კომპანიის არც ერთ ელექტროსადგურზე, რადგან არც-ერთის სიმძლავრე არ აღემატება 65მგვტ.-ს.

ელექტროენერგეტიკული სექტორი რეფორმის პროცესშია და მოსალოდნელია ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლა უახლოეს მომავალში. რეფორმით გამოწვეული ცვლილებები ახსნილია რეგულირებული გარემოს ქვეთავში.

ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები და განახლებადი ენერგიის პროექტების მხარდაჭერის სქემები

განახლებადი ენერგიის პროექტებში ინვესტიციების მოსაზიდად, საქართველოს მთავრობას ბოლო ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა მხარდაჭერის მექანიზმი ჰქონდა. ამასთან, ყველაზე გავრცელებული მხარდაჭერის სქემა იყო ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (PPA). ეს არის ელექტროენერგიის გაყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულება ელექტროსადგურის მფლობელსა და სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ს/ნ: 205170036, შემდგომში „ESCO“ ან „ესკო“) შორის. PPA პირობები წინასწარ განსაზღვრულია ურთიერთგაგების მემორანდუმით (MoU), რომელიც ფორმდება მთავრობასა და ელექტროსადგურების მესაკუთრეთა შორის.

მთავრობამ 2008 წლის შემდეგ რამდენჯერმე შეცვალა PPA პოლიტიკა. შესაბამისად, სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურები PPA-ის სხვადასხვა პირობებით სარგებლობენ. PPA-ები ძირითადად განსხვავდება ხელშეკრულების ხანგრძლივობის, ელექტროენერგიის შეძენის პერიოდისა და ფასის მიხედვით.

PPA- ის ყველაზე გავრცელებული პირობაა 10 წლის განმავლობაში სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით წარმოებული ელექტროენერგიის სრული მოცულობის შესყიდვა ესკოს მიერ. გვხვდება სხვადასხვა ვარიაციებიც, როგორცაა 15 წლიანი ხელშეკრულება, შესყიდვა მთელი წლის განმავლობაში (და არა მხოლოდ რამდენიმე თვის), ტარიფიც შესაძლოა მერყეობდეს სხვადასხვა პროექტისთვის. აღსანიშნავია, რომ იმ თვეებში, როდესაც PPA-ით არაა განსაზღვრული ელექტროენერგიის შესყიდვა ესკოს მიერ, PPA-ს მფლობელი ელექტროსადგურებიცმოქმედებენ ისე, როგორც ნებისმიერი სხვა მიმწოდებელი, რაც ნიშნავს, რომ ისინი ელექტროენერგიას ყიდნიან ორმხრივი ხელშეკრულებებით ან/და საბითუმო ბაზარზე.

მთავრობის პოზიცია PPA-ს მიმართ შეიცვალა 2017 წლიდან. ენერგეტიკის სექტორში პროექტების წარმატებით განვითარების მიუხედავად, PPA-ები განიხილებოდა, როგორც კონკურენტული ბაზრებისათვის შემზღუდველი ფაქტორი. უფრო მეტიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკმაყოფილება გამოხატა PPA-ს მიმართ (წყარო: “Review under the extended fund facility arrangement (IMF Country Report No. 21/79)”), IMF-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომლებიც ფარავს ამ საკითხებს), რადგან მათი მოსაზრებით PPA მთავრობისთვის პირობითი პასუხისმგებლობისა და ფისკალური რისკების შემქმნელია. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა PPA-ს დე-ფაქტო მორატორიუმი 2016 წლიდან. საბოლოოდ, 2018 წელს ახალი კანონით გამკაცრდა პროცედურები PPA-ს მინიჭების შესახებ. შედეგად, 2017-2022 წლების განმავლობაში არცერთი ახალი PPA-იანი მემორანდუმი არ დადებულია.

2020 წელს, მთავრობამ შემოიღო ახალი მხარდამჭერი მექანიზმი, სახელწოდებით „პრემიალური ტარიფი“ (Feed-in Premium - ”FIP”), როგორც იმ ელექტროსადგურების დამხმარე სქემა, რომლებიც ბაზრის რეფორმირების დასრულების შემდეგ დღით ადრე ბაზარზე (დეტალურად იხ. ქვემოთ) ივაჭრებენ. პრემიალური ტარიფი მოქმედებს 5 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერგიის პროექტებზე. ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ESCO დაეხმარება ასეთ ექტროსადგურებს საბაზრო რისკების დაზღვევაში სექტემბერი - აპრილის პერიოდისთვის. თუ ნებისმიერი საათის განმავლობაში საბაზრო ფასი ჩამოცდება 5.5 აშშ. ცენტს კვტ.სთ-ზე, ESCO დაფარავს სხვაობას საბაზრო ფასსა და 5.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე შორის. ამ დახმარების / სხვაობის მაქსიმალური მოცულობა იქნება 1.5 აშშ ცენტი/კვტ.სთ-ზე. ასეთ მექანიზმი ზღუდავს სახელმწიფოს ფისკალურ რისკს კვტ.სთ-ზე 1.5 აშშ.ცენტის ოდენობით, ხოლო ინვესტორისთვის უზრუნველყოფს შემოსავალს კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტის მოცულობით, იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ფასების კვტ.სთ-ზე 4.0 აშშ ცენტზე დაბლა ჩამოსვლა არაა მოსალოდნელი. მექანიზმი იმუშავებს მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომელსაც მემორანდუმი გაუფორმდათ 2020 წლის ივნისის შემდეგ, ანუ ამ დადგენილების შემოღების შემდეგ. ინვესტორების მხრიდან ინტერესი ამ ახალი მექანიზმის მიმართ დაბალი იყო, რეალურად 2021 წელს მხოლოდ 5 მემორანდუმი გაფორმდა ამ პირობით, მაშინ როდესაც PPA-იანი მემორანდუმი ბევრად მეტია. სავარაუდოდ, ეს იმით აიხსნება, რომ მხარდაჭერის დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე არსებული PPA-ების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ინვესტორებისთვის ახალი, უფრო ძლიერი მხარდაჭერის მექანიზმის შემოთავაზება, მოსალოდნელია ადგილობრივი გამომუშავების ზრდის ტემპის შემცირება, რაც გამოიწვევს ელექტროენერგიის საბაზრო ფასების ზრდას.


მთავრობამ წარადგინა განახლებადი ენერგიის პროექტების მხარდაჭერის ახალი სქემა - სიმძლავრის აუქციონის საფუძველზე გაცემული ფასთა შორის სხვაობის კონტრაქტი (CFD). CFD სქემის მიხედვით, პერიოდულად გამოცხადდება აუქციონი, რომელზეც დაინტერესებული ინვესტორები მიიღებენ მონაწილეობას. მონაწილეობის წინაპირობა იქნება წინასწარ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევა,

აუქციონში მონაწილეობის მიღების საფასური და საბანკო გარანტია. აუქციონში გამარჯვებულები დადებენ ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებას (CFD) მთავრობასთან (და ესკოსთან), რომლის ხანგრძლივობაც იქნება ელექტროსადგურის ექსპლუატაციის საწყისი 15 წელი. პირველი აუქციონი გამოცხადდა 2023 წლის 10 თებერვალს და მასზე წარმოდგენილი იყო 78 განაცხადი, რის შედეგადაც აუქციონის კომისიამ შეარჩია 24 გამარჯვებული, რომელთა შემოთავაზებული ტარიფი მოხვდა მედიანური ტარიფის ქვეშ. ემიტენტს არ მიუღია მონაწილეობა აღნიშნულ აუქციონში, ვინაიდან აუქციონის კრიტერიუმების თანახმად მოითხოვება მონაწილის ჰესები არ იყოს უკვე გაშვებული და არ გამოიმუშავებდნენ ელექტრო ენერგიას (ემიტენტის შემთხვევაში აუქციონის დროს სამივე ჰესი იყო უკვე აშენებული და გამოიმუშავებდნენ ელექტრო ენერგიას).

ელექტროენერგიის მიწოდება - მოთხოვნის ტენდენციები

ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მშპ-ს ზრდასთან. საშუალო მოხმარების ზრდის ტემპმა 2010-2021 წლებში შეადგინა 5.1%. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდა 4.9%-ით, ეკონომიკური საქმიანობის Covid-19 პანდემიით გამოწვეული შემცირების გამო. 2021 წელს, ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა 13.1%-ით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2022 წელს, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მოხმარება გაიზარდა 3.8%-ით. ელექტროენერგიის მოხმარება, სავარაუდოდ, გაიზრდება ყოველწლიურად 5%-ით, როგორც ეს მითითებულია ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმის საბაზისო სცენარში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით. ამავე შეფასებით, ელექტროენერგიის მოხმარება გაორმაგდება მომდევნო ათწლეულში.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და გამოიმუშავება TWh (2017-2022)




წყარო: ესკო, GNERC, თიბისი კაპიტალი


ელექტროენერგიის მომხმარებლები საბითუმო დონეზე არიან აფხაზეთი, პირდაპირი მომხმარებლები და საცალო მიმწოდებლები. პირდაპირი მომხმარებლები არიან ის იურიდიული პირები ვინც ნებაყოფლობით ან კანონის ძალით მიიღეს ეს სტატუსი. მათ შეუძლიათ პირდაპირ ჰესისგან ელექტროენერგიის შესყიდვა. პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობის ზრდამ ბოლო წლებში, რაც ძირითადად საკანონდებლო ცვლილებებით იყო გამოწვეული, გაზარდა პოტენციური შემსყიდველების რაოდენობა ემიტენტისთვის. თელასი და ენერგო-პრო ჯორჯია შეისყიდიდნენ ელექტროენერგიას საბითუმო დონეზე და ყიდდნენ საცალო

მომხმარებელზე, როგორიცაა მოსახლეობა, მცირე ბიზნესი და ა.შ. 2021 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავდა მიწოდების და დისტრიბუციის საქმიანობების გამიჯვნას, თელასის საქმიანობა გაიყო ორ ლიცენზიად, თელასს დარჩა დისტრიბუციის ლიცენზია (ანუ ფიზიკური მიწოდების ვალდებულება), ხოლო მიწოდების (ანუ ელექტროენერგიის საცალო მომხმარებელზე გაყიდვის) ლიცენზიის მფლობელი თელასის არეალში გახდა „თელმიკო“. თელმიკო არის თელასის აფილირებული კომპანია - მისი აქციონერთა სტრუქტურა თელასის ანალოგიურია. იგივე ტიპის ცვლილება მოხდა ენერგოპრო ჯორჯიასა და ეპ ჯორჯიას შემთხვევაშიც.

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის მოხმარების წილის დინამიკა საბითუმო მომხმარებლის ჯგუფების მიხედვით



გრაფიკი 5: პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი და მოხმარება




წყარო: ესკო, GNERC, გალტ ენდ თაგარტი

წყარო: ესკო, გალტ ენდ თაგარტი

საქართველოში ელექტროსადგურების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 2022 წელს შეადგენდა 4.6 გვტ-ს, ხოლო 2010 წელს შეადგენდა 3.3 გვტ-ს. 2010 წლიდან დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 1.3 გვტ-ით, აქედან მხოლოდ 0.7 გვტ იყო ჰიდრო და ქარის პროექტები, ხოლო დანარჩენი 0.6 გვტ მოდიოდა თბოელექტროსადგურებზე, რომლებიც იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე მუშაობენ. 2022 წლის ივნისისთვის, საქართველოს ჰქონდა 105 ჰიდრო, 5 თერმულიგაზზე მომუშავე თბოსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური. 2010 წლიდან 2021 წლამდე ელექტროენერგიის მიწოდება გაიზარდა 10.1 ტვტ.სთ-დან 14.4 ტვტ.სთ-მდე


(ელექტროენერგიის ტრანზიტის გარდა). მიწოდების ზრდის 80% (3.5 ტვტ.სთ) მოდიოდა იმპორტზე დამოკიდებულ წყაროებზე (ელექტროენერგიის პირდაპირი იმპორტი და გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები). მიწოდების მხარის ზრდის მხოლოდ 20% მოდიოდა ადგილობრივ რესურსზე მომუშავე ობიექტებზე (ქარისა და ჰიდრო ელექტროსადგურებზე). სწორედ ადგილობრივ რესურსზე მომუშავე განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების დაბალმა ტემპმა გამოიწვია თბოელექტროსადგურების გამომუშავებისა და ელექტროენერგიის პირდაპირი იმპორტის გაზრდილი წილი მიმწოდებლებში. ელექტროენერგიის მოხმარებისა და ჰიდრო გამომუშავების ურთიერთსაპირისპირო სეზონურობა წარმოქმნის სიჭარბეს მაისისა და ივნისის თვეებში, რა დროსაც ხდება ელექტროენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში, ხოლო დანარჩენ თვეებში წარმოიქმნება დეფიციტი. კონდიციონების გაზრდილი გამოყენების გამო, ელექტროენერგიის მოხმარება ხდება ნაკლებად სეზონური, აღნიშნული ზღუდავს ექსპორტის თვეებს მხოლოდ მაისსა და ივნისზე (როგორც 2019-21 წლებში) და ქმნის იმპორტის საჭიროებას წლის დანარჩენ პერიოდში. ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების დიდი ნაწილი, საშუალოდ 40%, მოდის მაისიდან აგვისტომდე პერიოდში, განსაკუთრებით დიდია ისეთი სადგურების გამომუშავების სეზონურობა, რომელთაც არ გააჩნიათ წყლის შემნახველი რეზერვუარი.

გრაფიკი 6: ელექტროენერგიის წარმოება და იმპორტი, ტვტ.სთ.



წყარო: GNERC


გრაფიკი 7: დადგმული სიმძლავრის დინამიკა, გვტ



წყარო: ესკო, სსე, გალტ&თაგარტი


დადგმული სიმძლავრის გადანაწილება ძალზე კონცენტრირებულია, 90%-ზე მეტი სამი ტიპის ჰესებზე მოდის, ყველაზე მეტი, დადგმული სიმძლავრის 52.2% მარეგულირებელ ჰესებზე მოდიოდა 2022 წელს, რასაც კომბინირებული ციკლისა და ქვანახშირის თბოსადგურები მოყვება 23.6%-ით, მესამე ადგილს კი სეზონური ჰესები იკავებს 21.3%-ით. ჯერ კიდევ განვითარების ნაადრევ ეტაპზეა ქარის ელექტრო სადგურები, მათი დადგმული სიმძლავრის წილი მთლიანიდან მხოლოდ 0.5%-ია. მომავალში იგეგმება განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების გაზრდა, რაც გამოიხატება ქარისა და მზის გაზრდილი წილით სამიზნე დადგმულ სიმძლავრეში.

გრაფიკი 8: დადგმული სიმძლავრე, 2022



წყარო: ESCO, GSE

გრაფიკი 9: სამიზნე დადგმული სიმძლავრე, 2032




წყარო: ESCO, GSE

ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა მოხმარების ზრდას ჩამორჩება, რაც ზრდის ქვეყნის სავაჭრო დეფიციტს. 2021 წელს, საქართველომ შემოიტანა 2.0 ტვტ.სთ ელექტროენერგია და ექსპორტზე გაიტანა მხოლოდ 0.4 ტვტ.სთ, რის შედეგადაც წმინდა იმპორტი 1.6 ტვტ.სთ (+ 10.9% წ/წ) იყო. ამას გარდა, იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების წარმოებამ 2021 წელს მიაღწია 2.4 გვტ საათს. 2022 წელს საქართველომ ექსპორტზე გაიტანა 1.0 ტვტ.სთ (+153. 7% YoY), ხოლო იმპორტმა 1.5 ტვტ.სთ შეადგინა (-25.2% YoY). მთლიანობაში, ელექტროენერგიის მოთხოვნის 10.5% 2022 იმპორტირებულმა წყაროებმა შეავსეს. 2010-2021 წლების განმავლობაში ელექტროენერგიის სექტორის იმპორტზე დამოკიდებულება სამჯერ გაიზარდა. 2020 წელსაც კი, როდესაც პანდემიის გამო დაკლებული იყო ელექტროენერგიაზე მოთხოვნა, იმპორტი არ შემცირებულა. ეს ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ 2020 წელს ჰიდროლოგია იყო არასახარბიელო და მოხმარების შემცირების პარალელურად შემცირდა ჰესების გამომუშავებაც.


გრაფიკი 10: ელექტროენერგიის საგარეო ვაჭრობა, ტვტ.სთ.

სექტორის იმპორტზე




გრაფიკი 11: ელექტროენერგიის დამოკიდებულება, გვტ.სთ.

დამოკიდებულება, გვტ.სთ.



ურთიერთდაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერება საშუალებას აძლევს საქართველოს იმპორტიორები 4 მეზობელ ქვეყანას შორის კომერციული პირობების საფუძველზე აირჩიოს. ისტორიულად, რუსეთი იყო ელექტროენერგიის იმპორტის ძირითადი წყარო საქართველოში. მდგომარეობა შეიცვალა 2017 წლიდან, როდესაც 2017-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი, ხოლო 2021-ში დაუბრუნდა ძველ ნიშნულს და იმპორტირებული ელექტროენერგიის 60%-ზე მეტი რუსეთიდან შემოვიდა. 2020 და 2021 წლებში, თურქეთიდან იმპორტი განხორციელდა მნიშვნელოვნად დაბალ ფასად, (აშშ დოლარის ცენტი 4.3 / კვტ.სთ) ვიდრე კონკურენტი ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანთან ახალი 500კვ (კილოვოლტი)-იანი ხაზის ექსპლუატაციის შემდეგ, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი თანდათანობით ჩანაცვლდა აზერბაიჯანიდან იმპორტით, 2013 წლიდან 2018 წლამდე რუსეთის წილი 95% -დან 13.7% -მდე შემცირდა. 2019 წელს რუსეთი კვლავ გახდა მნიშვნელოვანი მომწოდებელი, ის კონკურენციას უწევდა აზერბაიჯანს ფასებსა და ელექტროენერგიის მიწოდებაში აფხაზეთის რეგიონში.


გრაფიკი 12: ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: GNERC

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 16.2%-ით გაიზარდა და 2022 წლის 10 თვეში კვტ.სთ-ზე 5.6 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ ჭრილში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 4.0-6.5 აშშ ცენტის ფარგლებში. ფასის ზრდის ძირითადი მიზეზი იმპორტის გაზრდილი ფასია.

გრაფიკი 13: ელექტროენერგიის ფასები (აშშ ცენტი/ კვტ.სთ)



წყარო: საქსტატი

საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით კარგად ჩანს ექსპორტზე გაზრდილი საშუალო ფასები, რომლებიც 2021 წლიდან 2022 წლამდე 109.8%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო ფასები იმპორტზე შედარებით ნაკლებად 20.6%-ით გაიზარდა. Galt&Taggart-ის კვლევის მიხედვით, საბალანსო ელექტროენერგიის ფასმა 2022 წელს 5.7 აშშ დოლარი შეადგინა. 2022 წელს, ძირითად საექსპორტო ბაზარს თურქეთი წარმოადგენდა. ელექტროენერგიის ფასი თურქულ ბაზარზე თითქმის გასამმაგდა. 2022 წლის ელექტროენერგიის ფასმა თურქულ ბაზარზე კვტ.სთ-ზე საშუალოდ 15.1 აშშ ცენტი შეადგინა. შედარებისთვის, 2021 წლის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 5.6 აშშ ცენტს შეადგენდა. ყველაზე მაღალი საბაზრო ფასი დაფიქსირდა 2022 სექტემბერში - კვტ.სთ-ზე 21.3 აშშ ცენტი. ფასის ასეთი ზრდის მიზეზი არის მიმდინარე ენერგეტიკული კრიზისის გამო გლობალურად გაზრდილი ბუნებრივი აირის ფასები და თურქული ბაზრის დამოკიდებულება გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებზე. საქართველოში ფასები გაცილებით ნაკლებად გაიზარდა, ამიტომ ქართველ მწარმოებლების მხრიდან ექსპორტის მიმართ მაღალი მოთხოვნა იყო. იმპორტის დაახლოებით 82.5% რუსეთიდან განხორციელდა (უმეტესად აფხაზეთის რეგიონისთვის, რომელმაც საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის ნახევარი მოიხმარა). რუსეთი საქართველოს ელექტროენერგიას „სპეციალურ“ ფასად აწვდის (რომელიც კვტ.სთ-ზე 0.5 აშშ ცენტზე ნაკლებია). ეს სპეციალური ფასი მნიშვნელოვნად ამცირებს იმპორტის საშუალო შეწონილ ფასს - 2022 წლის იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 3.2 აშშ ცენტს შეადგენდა. ელექტროენერგიის იმპორტის კომერციული ფასი შედარებით მაღალია - 7.0 აშშ ცენტი, რომელიც ოქტომბერში დაფიქსირდა (ოქტომბერში არ განხორციელებულა იმპორტი აფხაზეთის მხრიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფასი არის რუსეთის კომერციული ფასი).

1.2. სამომავლო სტრატეგია და მიზნები:

კომპანია უშუალოდ ახორციელებს განახლებადი ენერგიის ბიზნესის მოქმედი და სრულად ოპერირებადი აქტივების მართვას. ამ ეტაპისთვის, ემიტენტი არ მოელის მის საქმიანობაში რაიმე ტიპის არსებითი ცვლილებების განხორციელებას ან მნიშვნელოვანი/დიდი ახალი პროექტების განხორციელებას. ამის გარდა, ემიტენტის დაფინანსებასთან, კაპიტალიზაციასა და დავალიანებასთან დაკავშირებით იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი, კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

დამატებით, კომპანიის ბიზნეს სტრატეგიის ძირითადი ელემენტები შემდეგია:

ელექტროენერგიის ბაზრის ხელსაყრელ პირობებზე კაპიტალიზაცია

- განახლებადი ენერგიის ბიზნესი ელექტროენერგიას გამოიმუშავებს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. საქართველოში არსებობს მრავალი დადგენილება და მხარდაჭერის მექანიზმი მზის, ქარის და ჰიდრო ენერგიის წარმოებისთვის, როგორც საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (CCSAP) ნაწილი. განახლებადი ენერგიის წყაროები განიხილება, როგორც ენერგიის მომავალი და მეტად ღირებულია ვიდრე ელექტროენერგიის წარმოების ტრადიციული წყაროები.
- განახლებადი ენერგიის ბიზნესი საქართველოში ელექტროენერგიის ბაზრის ხელსაყრელ პირობებზე კაპიტალიზაციას ისახავს მიზნად. ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის ევროკავშირის ღირეპტივებთან თანდათანობითი ჰარმონიზაციის ფონზე იქმნება უფრო ლიკვიდური, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ბაზარი. 2020 წელს, წინა წელს ელექტროენერგიის ბაზრის დერეგულირების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მიიღო ელექტროენერგიის ბაზრის ახალი მოდელის კონცეფცია. საერთო ჯამში, საქართველოს განახლებადი ენერგიის ბიზნესში მოსალოდნელია ელექტროენერგიის ბაზარზე დაგეგმილი რეფორმების მიღება, რაც კიდევ უფრო დადებით გავლენას მოახდენს ელექტროენერგიის ფასებზე.

კარი IV

ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის სტრატეგია

გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების ("ESG") საკითხები კომპანიის სტრატეგიის ნაწილია

გარემოზე ზემოქმედების შეფასება - გზშ არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებსა (კულტურულ მემკვიდრეობასა) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ჩამოთვლილი ამოცანების შესრულების მიზნით შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ შეასრულა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

- შესწავლილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური დოკუმენტაცია;
- მოგროვდა ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების რაიონის და საპროექტო დერეფნის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- მოგროვილი ინფორმაციის შეჯერების და ანალიზის საფუძველზე მოხდა პროექტის სხვადასხვა ეტაპზე მისი და შესაძლო ალტერნატივების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრა;
- გარემოზე ზემოქმედების განსაზღვრული სახეების და მასშტაბების საფუძველზე ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის სქემები. შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შემცირებისკენ მიმართული ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- განხორციელდა საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები გზშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

ESG საკითხები წარმოადგენს სტრატეგიის ნაწილს, რაც გამოიხატება მის განხორციელებულ პროექტებში

კომპანიამ რამდენიმე სოციალური პროექტი განახორციელა სოფელ ხიდში, მათ შორის:

- საფეხბურთო სტადიონის საფარის შეცვლა/მოწესრიგება;
- სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია
- წყალარინების სისტემების მონტაჟი
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება
- გარკვეული ტერიტორიების მოასფალტება/მოწესრიგება

ასევე, კომპანია თანამშრომლობს საქველმოქმედო ფონდ აიპ „ოცხანასთან“, რომელიც სოფელი ხიდის თემის მოსახლეობის შექმნილი ფონდია და მას ყოველწლიურად ფინანსურ მხარდაჭერას უწევს დაახლოებით 70 000 ლარის ოდენობით.

ამავდროულად, კომპანია თანამშრომლობს შპს „გამასთან“, რომელთანაც გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად 2018 წლიდან ხორციელდება მონიტორინგი შემდეგ საკითხებზე:

- ბიოლოგიური გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების პრევენციული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მინიმიზაციის ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მინიმიზაციის ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- საშუალა ჰესების კასკადის სათაო ნაგებობის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარების და გატარებული ხარჯის აღრიცხვის მდგომარეობა. ასევე ეკოლოგიური ხარჯის პირობებში წყლის ბიოლოგიური გარემოსა და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე ზემოქმედების შეფასდება.
- ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებისაგან დაცვის მდგომარეობა;
- ასაფეთქებელი მასალების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენახვის და გამოყენების წესების დაცვის მდგომარეობა;
- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობა, მათ შორის:
 - პერსონალის საცხოვრებელი პირობები;
 - პერსონალის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;
 - პერსონალის სპეციალური ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა.
 - მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის საჩივარ განცხადებების აღრიცხვის და მათზე რეაგირების მდგომარეობა;
 - სხვა

შპს „გამა“, კომპანიასთან შეთანხმებით, ყოველკვარტლურად აგზავნის აღნიშნულ რეპორტებს შესაბამის უწყებებში.

ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა, ვებ-გვერდი და შესაბამისი პროცედურები მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს XIV კარში.

ანაზღაურების პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება მოცემულია XV კარში

კარი V

სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობა

1. კომპანიის კორპორაციული მართვის წინამდებარე კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის ბრძანება N172/04-ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო.
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სხვა ფუნქციებთან ერთად, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან შეასრულონ შემდეგი ფუნქციები:
 - ა) „კომპანიის“ ღირებულებებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა და უზრუნველყონ, რომ „კომპანია“ იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
 - ბ) „კომპანიაში“ ეთიკური კულტურის ჩამოყალიბება და კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამკვიდრებასა და უზრუნველყოფაში დირექტორის როლის შეფასება, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, არსებულ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან, წინამდებარე „კოდექსთან“, ეთიკის კოდექსთან და „კომპანიის“ შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას.
 - გ) ინფორმაციის გამჟღავნებასთან (მხილებასთან) დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტიანობისა და მიუკერძოებლობის ზედამხედველობა. ამასთან, დირექტორის ვალდებულებაა „კომპანიაში“ ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების სამეთვალყურეო საბჭოსთვის შეტყობინება. ამავდროულად, ინფორმაციის მიმწოდებლები დაცულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი სახის პოტენციური ზიანისა და დისკრიმინაციისგან.
 - დ) „კომპანიის“ სტრატეგიის ჩამოყალიბება და მენეჯმენტის მიერ სტრატეგიული მიზნების განხორციელების ზედამხედველობა.
 - ე) საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
 - ვ) დირექტორთან ერთად „კომპანიის“ რისკის აპეტიტის განსაზღვრა კონკურენტუნარიანი და მარეგულირებელი გარემოს, „კომპანიის“ გრძელვადიანი ინტერესების, რისკის დადგომის საფრთხის, რისკის ეფექტური მართვის, რისკის მართვის ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების გათვალისწინებით და „კომპანიის“ მიერ რისკის აპეტიტის ჩარჩოს, რისკის პოლიტიკისა და რისკის ლიმიტების დაცვით.
 - ზ) ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვა, მათ შორის, დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

თ) დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. დირექტორის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უზრუნველყოფა ყველა საჭირო ინფორმაციით, მათ შორის, განმარტებებითა და დადასტურებით, რომ მათი საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიებს, რისკის აპეტიტსა და „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმებს.

ი) „კომპანიის“ ანაზღაურების სისტემის მიდგომების ზედამხედველობა, რაც გულისხმობს აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფი პირების ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, ასევე „კომპანიის“ რისკის კულტურასა და რისკის აპეტიტთან შესაბამისობის შეფასებას.

კ) კონტროლის ფუნქციებისა და კორპორაციული მდივნის დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ლ) ეფექტური მართვის პროცესების ჩამოყალიბება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს არსებული თანამშრომლების უწყვეტ შეფასება- განვითარებას და ასევე პოტენციური კანდიდატების მოძიებასა და შემოწმებას.

მ) დაკავშირებულ მხარეებთან განსახორციელებელი ტრანზაქციების მონიტორინგი და ამ კუთხით, ეფექტური პროცედურებისა და პოლიტიკის არსებობის უზრუნველყოფა.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო მინიმუმ კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს შეხვედრებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს შეხვედრების სიხშირეს.
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ იღებს მონაწილეობას დისკუსიებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუ მას აქვს პირდაპირი კავშირში საკითხთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, არაპირდაპირი კავშირის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებები გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებს.
6. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხვდებოდეს დირექტორისა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორისთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორის მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული

მდივანი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას;

7. სამეთვალყურეო საბჭო თავისი კომიტეტების საქმიანობას მინიმუმ ყოველწლიურად უნდა აფასებდეს. გარე კონსულტანტები შეფასების პროცესში ერთვებიან სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ. პროცედურას ადგენს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ეს განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების შესახებ მე-13 მუხლში.

8. სამეთვალყურეო საბჭო:

4.8.1 განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის კრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს დირექტორს;

4.8.2 ამზადებს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;

4.8.3 მონიტორინგს უწევს დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;

4.8.4 რეკომენდაციას იძლევა რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;

4.8.5 მუდმივად უნდა იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით;

9. სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალისწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.

10. ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს სრული წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორის, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან;

11. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნა და გამართულად ფუნქციონირება, ასევე, საწარმოს ანაზღაურების სისტემის შესაბამისობა მის კულტურასთან, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოსთან, საწარმოს საქმიანობასთან და კონტროლის გარემოსთან ისევე, როგორც კანონმდებლობისთან/საზედამხედველო მოთხოვნებთან.

12. სამეთვალყურეო საბჭომ რეგულარულად უნდა განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს საწარმოს დირექტორს, ასევე უნდა უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან

შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;

13. სამეთვალყურეო საბჭომ ყოველწლიურად უნდა მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.
14. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;
15. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ორგანიზაციის რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.
16. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს ახალ კანდიდატურებს და დირექტორის კანდიდატურებს. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურული დაგეგმარების პროცესში, მათ შორის, საბჭოს წევრთა გადარჩევის საკითხების მიმართულებით, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოსა და მისი ბიზნეს სტრატეგიის მოთხოვნები, საჭიროებები და საბჭოში არსებული უნარები და ექსპერტული ცოდნა;
17. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. რეგულარულად გადახედავს რიგ პოზიციაზე დანიშნულ პირთა კანდიდატურებს, როგორებიცაა აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი და სხვა პირთა დანიშვნის საფუძვლებს;
18. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ საწარმოში არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკები და პროცედურები დირექტორის წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით. საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებებით საწარმოში მიმდინარე პროცესებში;
19. სამეთვალყურეო საბჭო ჩართული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ჩანაცვლებისა და ეფექტურობის შეფასების პროცესში ისევე, როგორც საწარმოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგის პროცესებში.
20. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების ფუნქციების შესრულება საჭიროების შემთხვევაში.

კარი VI

სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები

1. „კომპანიის“ კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება;
2. კომპანიას უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს;
3. კომპანიას უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;
4. საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:
 - 4.1. ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;
 - 4.2. თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
 - 4.3. გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;
5. კომპანიის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს;
6. კომპანიას უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;
7. კომპანიას უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს;
8. კომპანიის წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი;

9. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის ბრძანება N172/04-ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. კომპანიის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის ბრძანება N172/04-ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის მოთხოვნები.

10. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

- 10.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპეტენცია და უნარები უნდა უზრუნველყოფდეს ფინანსური საქმიანობის სათანადოდ წარმართვასა და რისკების მართვის ეფექტურ ცოდნას.
- 10.2. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აღარ აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ან ამის პოტენციური საფრთხე არსებობს, ან წევრი ვეღარ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები.
- 10.3. სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს წევრთა საკმარისი რაოდენობისგან „კომპანიის“ მასშტაბისა და კომპლექსურობის შესაბამისად.
- 10.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი.
- 10.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან კანდიდატის დამოუკიდებლობა მის დანიშვნამდე უნდა დასტურდებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 10.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა და გამოცდილება შესაბამის სფეროებში და განსხვავებული გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსაზრებათა მრავალფეროვნება.
- 10.7. „კომპანიას“ უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროცედურები და პოლიტიკა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევისა და შესაბამის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- 10.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი „კომპანიის“ საერთო ინტერესებზე, მიუხედავად მათი დამნიშნავი აქციონერებისა.
- 10.9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცოდნისა და უნარების შეძენის, განვითარებისა და გაუმჯობესების და თავიანთი მოვალეობების შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს თავის წევრთა მონაწილეობა საკვალიფიკაციო პროგრამებში და შესაბამის საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებზე ხელმისაწვდომობა.
- 10.10. სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ყოველწლიურ შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა.
- 10.11. სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები.

11. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

- 11.1. სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე;
- 11.2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სასურველია იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის ბრძანება N172/04-ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი, ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ არის დამოუკიდებელი წევრი, თავმჯდომარისთვის მიკუთვნებულ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ინვესტორთა ინტერესებზე, თავმჯდომარე იღებს დამოუკიდებელი წევრის თანხმობით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე

კარი VII

სამეთვალყურეო საბჭოს (ორგანიზაციის) კომიტეტები

1. „კომპანია“ ვალდებულია შექმნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტებული სულ მცირე აუდიტის, ანაზღაურების, მართვისა და ნომინაციის, რისკების მართვისა და საინვესტიციო კომიტეტები.
2. თითოეულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს საკუთარი დებულება ან შესაბამისი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მის მანდატს, მოქმედების ფარგლებსა და სამუშაო პროცედურებს. აღნიშნული მოიცავს კომიტეტის ანგარიშვალდებულების ფორმას სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ, რა არის მოსალოდნელი კომიტეტის წევრებისგან და კომიტეტში მუშაობის ვადის ნებისმიერ შეზღუდვას. ძალაუფლების არაჯეროვანი კონცენტრაციის თავიდან აცილებისა და ახალი პერსპექტივების ხელშეწყობის მიზნით სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს აღნიშნულ კომიტეტთა წევრებისა და თავმჯდომარეების პერიოდული ცვლილება.
3. კომიტეტები უნდა აწარმოებდნენ გადაწყვეტილებებისა და განხილვების შესაბამის ჩანაწერებს, გარკვეულ შემთხვევებში კორპორაციული მდივნის/ადმინისტრაციული ასისტენტის დახმარებით. ამავდროულად, კომიტეტები რეგულარულად უნდა წარადგენდნენ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ ანგარიშებს სამეთვალყურეო საბჭოში. მიუხედავად ამისა, კომიტეტის თითოეულ გადაწყვეტილებაზე საბოლოო პასუხისმგებლობა

ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

4. დამოუკიდებელი წევრები კომიტეტებში წამყვან როლს შეასრულებენ. თითოეული კომიტეტი უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე სამი წევრისგან და მათი პასუხისმგებლობები უფლებამოსილებას უნდა ანიჭებდეთ მათ, სათანადოდ განახორციელონ მოვალეობები.
5. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები უნდა შედგებოდეს სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების მიხედვით დანიშნული წევრებისგან. ობიექტურობა და ჯეროვანი გადაწყვეტილებების მიღება უზრუნველყოფილი უნდა იყოს.
6. კომიტეტების დებულებები, განსაკუთრებით უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების ნაწილში, რეგულარულად უნდა გადაიხედოს კომიტეტების მიერ, გარკვეულ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად. აღნიშნული გადახედვა უნდა განხორციელდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ და უნდა იყოს დოკუმენტირებული.
7. კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე. ამასთან, მათ უნდა შეეძლოთ დირექტორის თანდასწრების გარეშე შეხვდნენ „კომპანიის“ კონტროლის ფუნქციის მქონე სტრუქტურულ ერთეულებს.

8. აუდიტის კომიტეტი

- 8.1. საწარმო ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი;
- 8.2. აუდიტის კომიტეტი თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტის დებულების შესაბამისად;
- 8.3. სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება;
- 8.4. კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული იმ პირის მიერ, ვინც ითავსებს კორპორაციული მდივნის ფუნქციებს. კომიტეტი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან;
- 8.5. კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.
- 8.6. კომიტეტის შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ის უნდა იკრიბებოდეს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში;

8.7. სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო;

8.8. აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება.

8.9. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:

ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;

ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;

გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;

დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორის მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით;

8.10. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

8.11. აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება;

8.12. აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორის, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.

8.13. საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:

- ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;
- ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა;

8.14 გარე აუდიტორების დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭომ, დროდადრო, კარგი პრაქტიკის სახით, უნდა უზრუნველყოს გარე აუდიტორთა (აუდიტორული ფირმის ან ინდივიდუალურად, ფირმის თანამშრომლების) როტაცია.

9. რისკების მართვის კომიტეტი

9.1 სხვა ფუნქციებთან ერთად რისკების მართვის კომიტეტი:

- განიხილავს რისკის ყველა სტრატეგიას როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის სახის მიხედვით და რეკომენდაციებს აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულის თაობაზე, ისევე როგორც „კომპანიის“ მიმდინარე და სამომავლო რისკის აპეტიტზე;
- სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს „კომპანიის“ რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს მის რისკის პოლიტიკას, სულ მცირე ყოველწლიურად;
- მონიტორინგს უწევს მენეჯმენტს, რამდენად სათანადო პროცესების დაცვით ხდება „კომპანიაში“ დამტკიცებულ რისკების პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების აღმასრულებელ კომიტეტს;
- რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკის

ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის განაწილებასა და შენარჩუნებაზე;

- მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს; ასევე, ყველა სხვა სახის რისკს, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

9.2. რისკების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის არსებულ და სამომავლო აპეტიტთან დაკავშირებით. ამასთან, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სამეთვალყურეო საბჭოს

წარუდგინოს ანგარიში მატერიალურ რისკებსა და სხვა იდენტიფიცირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემებისა და რისკების მართვის სტრუქტურის, ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, რისკის კულტურის შესახებ.

9.3. რისკების მართვის კომიტეტი რეგულარულად უნდა იღებდეს ინფორმაციას და ანგარიშებს რისკების აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა შესაბამისი ფუნქციებისგან „კომპანიის“ რისკის მიმდინარე პროფილის, რისკის კულტურის მიმდინარე მდგომარეობის, გაცხადებულ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობებისა და ლიმიტების, ლიმიტების დარღვევისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმებთან დაკავშირებით.

9.4. აუდიტის კომიტეტსა და რისკების მართვის კომიტეტს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობისა და ყველა რისკის, მათ შორის, პოტენციური რისკების ეფექტურად დაფარვის, ასევე რისკის მართვის ჩარჩოში ნებისმიერი სახის საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით.

9.5. რისკების მართვის კომიტეტს უნდა შეეძლოს თავისუფალი და შეუზღუდავი ურთიერთობა დირექტორთან, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან და სხვა (შიდა და გარე) მხარეებთან დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულების მიზნით.

9.6. რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან, რისკების მართვის კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთა უმრავლესობა უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

9.7. რისკების მართვის კომიტეტი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს რისკების აღმასრულებელ კომიტეტთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას „კომპანიაში“ არსებული რისკების ეფექტური მართვის

სისტემის განვითარება და მუდმივი შენარჩუნება, რომელიც ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების ბუნების, მასშტაბისა და სირთულის ადეკვატური და პროპორციულია.

10. ანაზღაურების კომიტეტი

10.1. ანაზღაურების კომიტეტი ხელს უნდა უწყობდეს ორგანიზაციას ანაზღაურების სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების ზედამხედველობის კუთხით, ასევე, უზრუნველყოს, რომ ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაში იყოს რისკის კულტურასთან, ბიზნესის გრძელვადიან სტრატეგიასთან და რისკის აპეტიტთან, კომერციულ საქმიანობასთან და კონტროლთან ისევე, როგორც საკანონმდებლო/საზედამხედველო მოთხოვნებთან.

10.2. ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ამასთან, ანაზღაურების კომიტეტი მინიმუმ სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს, რომელთა უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.

10.3. ანაზღაურების კომიტეტი ვალდებულია:

ა. რეგულარულად განიხილოს და წარუდგინოს რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს „კომპანიის“ ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნას „კომპანიის“ ანაზღაურების პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებსა და ზემდგომი საზედამხედველო ორგანოების წესებთან შესაბამისობა. აღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობის შეფასებას და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგინოს რეკომენდაციები დირექტორის და სხვა წევრების ანაზღაურების შესახებ;

გ. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგინოს რეკომენდაციები იმ პირთა კატეგორიების შესახებ, რომლებსაც ანაზღაურების პოლიტიკა ეხება.

10.4. ანაზღაურების კომიტეტი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს რისკების მართვის კომიტეტთან ანაზღაურების სისტემით განსაზღვრული წახალისებების შეფასების მიზნით. რისკების მართვის კომიტეტმა, ანაზღაურების კომიტეტის ამოცანების შეფერხების გარეშე, უნდა შეამოწმოს ითვალისწინებს თუ არა ანაზღაურების სისტემით გათვალისწინებული წახალისება რისკს, კაპიტალს, ლიკვიდობას და შემოსავლების პროგნოზსა და დროში განაწილებას.

11. მართვისა და ნომინაციის კომიტეტი

11.1. მართვისა და ნომინაციის კომიტეტი:

ა. წარუდგენს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს როგორც დირექტორის, ასევე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ახალი კანდიდატურების შესახებ. მართვისა და ნომინაციის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემცვლელთა მოძიების დაგეგმვა, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ბიზნეს-სტრატეგიის სამომავლო მოთხოვნები და არსებული უნარები და ექსპერტული ცოდნა;

ბ. რეგულარულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ეფექტურობასა და ეფექტიანობას. მართვისა და ნომინაციის კომიტეტმა უნდა განიხილოს მაღალი თანამდებობის პირების, როგორებიცაა დირექტორი, მენეჯმენტის წევრები, დირექტორის მოადგილე, ფინანსური მმართველი და შესაბამისად სხვათა კანდიდატურები და გადადგომის მიზეზები;

გ. უზრუნველყოფს, რომ არსებობდეს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები დირექტორის დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით და აქტიურად იყოს ჩართული ამგვარ პროცესებში;

დ. უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭო არ იქნას დომინირებული ერთი პირის ან პირთა მცირე ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ ეს საზიანო იყოს „კომპანიის“ საერთო ინტერესებისათვის;

ე. შესაძლოა მონაწილეობდეს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ეფექტიანობის შეფასებაში, ისევე, როგორც „კომპანიის“ პერსონალისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგის პროცესში;

ვ. უზრუნველყოფს შიდა მმართველობითი სტრუქტურის მოთხოვნებთან და კორპორაციული მართვის შესახებ „კომპანიის“ შიდა წესებთან/დოკუმენტებთან შესაბამისობას;

ზ. უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების ეფექტური სისტემის არსებობას, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეპუტაციული რისკების შეფასებას, ისევე, როგორც მათ შესაბამის კანონმდებლობასთან და შიდა სტანდარტებსა და წესებთან შესაბამისობას;

თ. სხვა მოვალეობებთან ერთად, ასრულებს „კომპანიის“ ეთიკის კოდექსითა და ქცევის პოლიტიკით დაკისრებულ მოვალეობებს.

11.2. მართვისა და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს, რომელთაგან ორი უნდა იყოს დამოუკიდებელი.

12. საინვესტიციო კომიტეტი

12.1. საინვესტიციო კომიტეტი უნდა დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შეამციროს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან, თითოეულ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც ასეთი ზედამხედველობა სხვაგვარად არ წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტების მოვალეობას ან

პასუხისმგებლობას.

12.2. საინვესტიციო კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს, რომელთაგან ყველა უნდა იყოს დამოუკიდებელი.

12.3. საინვესტიციო კომიტეტს აქვს შემდეგი ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები:

ა. უზრუნველყოს „კომპანიისთვის“ საინვესტიციო სტრატეგიის შესახებ მაღალი დონის ინფორმაციის მიწოდება;

ბ. განიხილოს და რეკომენდაცია გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს საინვესტიციო პოლიტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების დასამტკიცებლად, საინვესტიციო მიზნებისა და გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული საინვესტიციო მიზნების ჩათვლით;

გ. მოიწვიოს კონსულტანტები და მრჩეველები „კომპანიის“ ინფრასტრუქტურული საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების პროცესში დასახმარებლად;

დ. საინვესტიციო კომიტეტის თითოეული შეხვედრის შემდეგ ანგარიში წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი საქმიანობის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ და საჭიროებისამებრ, ოქმებისა და სპეციალური პრეზენტაციების საშუალებით აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს საინვესტიციო კომიტეტის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი განვითარებების შესახებ.

კარი VIII

ორგანიზაციის დირექტორი

1. დირექტორი წარმოადგენს „კომპანიის“ უმაღლეს ადმსრულებელ პირს, რომელსაც საბოლოო ადმსრულებელი პასუხისმგებლობა ეკისრება „კომპანიის“ ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე. დირექტორი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს შორის დამაკავშირებელ მთავარ რგოლს.
2. დირექტორს ნიშნავს საერთო კრება.
3. დირექტორს უნდა ჰქონდეს სათანადო პიროვნული თვისებები, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება თავისი ვალდებულებების შესასრულებლად.
4. დირექტორმა უნდა დანერგოს ბიზნეს სტრატეგიები, რისკის მართვის სისტემები, რისკის კულტურა, პროცესები და კონტროლის ფუნქციები როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური ხასიათის რისკების მართვის მიზნით, ასევე უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოსთვის ფუნქციების შესასრულებლად, დირექტორის ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

5. დირექტორი პასუხისმგებელია „კომპანიის“ თანამშრომელთა შორის ფუნქციებისა და მოვალეობების გადანაწილებაზე და ეფექტური მმართველობის სტრუქტურაზე, რომელიც ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.
6. დირექტორის პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს და დოკუმენტურად აღწერს სამეთვალყურეო საბჭო იმგვარად, რომ არცერთ პირს არ ჰქონდეს ბიზნესზე შეუზღუდავი კონტროლი.
7. დირექტორს უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება და კომპეტენცია. ამასთან, საჭირო მიმართულებებით ცოდნისა კომპეტენციის გაღრმავების მიზნით გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. სასურველია, დირექტორის შერჩევა მოხდეს სტრუქტურული დაგეგმვისა და რეკომენდაციების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესში უნდა მოხდეს თითოეული კანდიდატის კვალიფიკაციისა და უნარების შეფასება.

კარი IX

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები

დამოუკიდებლობა - ობიექტური განსჯისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი ნებისმიერი მხარის არასათანადო გავლენის გარეშე.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - წევრი, რომლის დამოუკიდებლობა დასტურდება კოდექსის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი კანდიდატების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ქვემოთ მოცემული ფაქტორი. ამასთან, აღნიშნული გარემოებ(ებ)ის არსებობა, თავისთავად არ გულისხმობს, რომ წევრი/კანდიდატი არ არის დამოუკიდებელი. ამგვარი გარემოებები უნდა განიხილოს სამეთვალყურეო საბჭომ კანდიდატის დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისას და მათი დამოუკიდებლობის შესახებ არგუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს, როდესაც კანდიდატს:

- i. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჰქონია რაიმე სახის პირადი ურთიერთობა (ნათესაური კავშირი, თანაცხოვრება, ა. შ.), „კომპანიის“ აქციონერ(ებ)თან, ასევე პირ(ებ)თან, რომლებიც ფლობენ „კომპანიის“ მიერ დაფუძნებულ საწარმოებში მნიშვნელოვან წილს;
- ii. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აწარმოებს ბიზნესს (პირდაპირ/არაპირდაპირ) ან აქვს რაიმე სხვა სახის მატერიალური საქმიანი ურთიერთობა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ მიერ დაფუძნებული საწარმოების აქციონერ(ებ)თან, ასევე პირ(ებ)თან, რომლებიც (პირდაპირ/არაპირდაპირ) ფლობენ „კომპანიის“ მიერ დაფუძნებულ საწარმოებში მნიშვნელოვან წილს;

- iii. აქვს რაიმე სახის მატერიალური ვალდებულება (მათ შორის, ფინანსური) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერ(ებ)ის ან „კომპანიის“ მიერ დაფუძნებული საწარმოების მიმართ;
- iv. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჰქონდა პროფესიული ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა (მათ შორის, საქმიანი მომსახურების გაწევა) „კომპანიასთან“ ან მისი მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერ(ებ)თან;
- v. იღებს რაიმე სხვა დამატებით ანაზღაურებას „კომპანიისგან“, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობასთან დაკავშირებული ფიქსირებული ხელფასისა;
- vi. აქვს სხვა ისეთი სახის ურთიერთობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პირის დამოუკიდებლობაზე.

კარი X

კორპორაციული მდივნის ფუნქციები

1. საწარმომ უნდა დანიშნოს კორპორაციული მდივანი ან განსაზღვროს საწარმოს თანამშრომელი (იურისტი), რომელიც შეასრულებს კორპორაციული მდივნის შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმარება საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორის თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის მისცემს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულ რჩევებს;

გ) მჭიდროდ ითანამშრომლებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;

დ) გეგმავს საჭირო ტრენინგებს და მოსამზადებელ საორიენტაციო შეხვედრებს უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის წევრებისათვის;

ე) აწარმოებს და/ან ინახავს ყველა კორპორაციულ დოკუმენტს, ოქმს თუ სხვა საჭირო საბუთს და ინფორმაციას მინიმუმ 6 წლის ვადით;

ვ) ახორციელებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის შორის;

ზ) ორგანიზებას უკეთებს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რიგგარეშე კრების მოწვევას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვას კრების ჩასატარებლად. უზრუნველყოფს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმახორციელებელ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორის წევრების მიერ;

თ) უზრუნველყოფს მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა;

ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები.

2. კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი, ამ ფუნქციების შესრულების დროს, წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს

საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

3. სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.

4. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელ პირს. კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად არ უნდა იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში;

კარი XI

შვილობილი საწარმოს საქმიანობის კონტროლის მექანიზმები

1. ჯგუფის სტრუქტურაში, „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ შვილობილ კომპანიებზე და უზრუნველყოფს მართვის გამჭვირვალე ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების სტრუქტურის საქმიანობისა და რისკების გათვალისწინებით.
2. „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ არსებით რისკებსა და საკითხზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც „კომპანიაზე“, ასევე მის შვილობილ კომპანიებზე. მან სათანადო ზედამხედველობა უნდა გაუწიოს შვილობილ კომპანიებს ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს სამართლებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ შვილობილი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებს.
3. შვილობილი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოები და მათი უფროსი მენეჯმენტი პასუხისმგებელია საკუთარ კომპანიებში რისკის მართვის პროცესების ეფექტურ განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს რისკის მართვის ეფექტურობას ჯგუფის დონეზე.
4. საწარმოს მმართველი ორგანო უნდა აფასებდეს ჯგუფის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზედამხედველო მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს აღნიშნული პოლიტიკები და შეიტანოს მასში გარკვეული შესწორებები, როდესაც ჯგუფის პოლიტიკები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის.
5. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა ითხოვდეს პერიოდულ დამოუკიდებელ მიმოხილვას შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციას მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე.

6. სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს მზადყოფნას, განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.

კარი XII

შიდა კონტროლის და აუდიტის სისტემა

1. რისკების მართვის სისტემის არსებობას უნდა უზრუნველყოფდეს გამართული შიდა კონტროლის სისტემა, მათ შორის, ეფექტური და მოსახერხებელი შიდა აუდიტის ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებელი გარანტიით უზრუნველყოფს „კომპანიის“ შიდა კონტროლის, რისკის მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხსა და ეფექტურობას სამეთვალყურეო საბჭოსთვის, დირექტორისა და დირექტორისთვის.
2. სამეთვალყურეო საბჭომ, დირექტორმა უნდა უზრუნველყონ შიდა აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობა და ეფექტურობა, რაც გულისხმობს შემდეგს:
 - ა. უზრუნველყონ შიდა აუდიტის კონტროლის სრული წვდომა „კომპანიის“ ინფორმაციაზე, ჩანაწერებსა და მონაცემებზე, რაც ასევე მოიცავს წვდომას თითოეული გადაწყვეტილების მიმღები ერთეულის ინფორმაციულ სისტემებსა და ჩანაწერებზე;
 - ბ. სრულად უზრუნველყონ შიდა აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობა, მათ შორის სტრუქტურული დამოუკიდებლობა, რისკების მართვის და მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას;
 - გ. მოითხოვონ შიდა აუდიტორებისგან ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული სტანდარტების დაცვა;
 - დ. უზრუნველყოფილ იქნას, რომ შიდა აუდიტს ჰქონდეს ისეთი დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკა და ანაზღაურების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მოიზიდოს სათანადო უნარების მქონე რესურსები, რაც მიესადაგება „კომპანიის“ მასშტაბებსა და კომპლექსურობას;
 - ე. დირექტორის მიერ უზრუნველყოფილი იყოს აუდიტთან დაკავშირებული უსწორობების დროული და ეფექტური აღმოფხვრა;
 - ვ. მოითხოვონ შიდა აუდიტის ფუნქციისგან „კომპანიის“ რისკების მართვის ერთიანი ჩარჩოს შეფასება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგის შეფასებით:
 - i. რისკების მართვის ფუნქციისა და შესაბამისობის სამსახურის ეფექტიანობა;

ii. სამეთვალყურეო საბჭოსთან, დირექტორთან რისკების შესახებ წარდგენილი ანგარიშგების ხარისხი;

iii. „კომპანიის“ შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა.

3. შიდა აუდიტის ფუნქცია ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი აუდიტის კომიტეტის წინაშე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს შიდა აუდიტის ფუნქციის ხელმძღვანელის დაქირავების, დათხოვნის, შეფასებისა და ანაზღაურების შესახებ. დაუშვებელია შიდა აუდიტის ანაზღაურების განსაზღვრის პროცესში „კომპანიის“ დირექტორის ან სხვა აღმასრულებელი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა.

4. შიდა აუდიტის ფუნქციამ დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს:

ა. შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობა როგორც მიმდინარე, ასევე პოტენციური რისკების კონტექსტში;

ბ. მართვის ინფორმაციული სისტემებისა და პროცესების (მათ შორის, მონაცემების შესაბამისობა, სიზუსტე, სისრულე, ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალობა და ყოვლისმომცველობა) სანდოობა, ეფექტურობა და მთლიანობა;

გ. კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან, მათ შორის, ზედამხედველების მიერ დაწესებულ ნებისმიერ მოთხოვნასთან (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ მომდევნო ქვეპუნქტი) შესაბამისობის მონიტორინგი;

დ. აქტივების დაცულობა.

5. შიდა აუდიტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეიმუშაოს შიდა აუდიტის ყოველწლიური გეგმა, რომელიც შეიძლება იყოს მრავალწლიანი გეგმის ნაწილი. გეგმა უნდა ეფუძნებოდეს რისკების ჯეროვან შეფასებას (მათ შორის დირექტორისგან და სამეთვალყურეო საბჭოსგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით) და უნდა განახლდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, რათა შესაძლებელი იყოს მნიშვნელოვანი რისკების რეალურ დროში მუდმივად შეფასება). სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აუდიტის გეგმის დამტკიცება გულისხმობს, რომ შიდა აუდიტის ფუნქციის აქტივობების განსახორციელებლად ხელმისაწვდომი იქნება სათანადო ბიუჯეტი. ბიუჯეტი უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა შიდა აუდიტის გეგმას მიესადაგოს „კომპანიის“ რისკის პროფილში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ.

6. შიდა აუდიტი თავის ფარგლებში უნდა მოიცავდეს რისკის მართვის შემდეგ ასპექტებს:

ა. რისკის მართვის ფუნქციის ორგანიზება და მანდატები, მათ შორის, კომერციული, ფინანსური, საოპერაციო, რეპუტაციული, ერთიანობის, მდგრადობის, მარეგულირებელი და სამართლებრივი რისკები;

ბ. რისკის აპეტიტის შეფასება, რისკის მართვის ფუნქციის მიერ მიღებული საკითხების და გადაწყვეტილებების ესკალაცია და ანგარიშგება;

გ. „კომპანიის“ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, შეფასების, კონტროლის, საპასუხო ქმედებების განხორციელებისა და ანგარიშგების მიზნით დანერგილი რისკის მართვის სისტემებისა და პროცესებისადეკვატურობა;

დ. რისკის მართვის საინფორმაციო სისტემების ერთიანობა, მათ შორის, გამოყენებული მონაცემების სიზუსტე, სანდოობა და სისრულე; და

ე. რისკის მოდელების მიღება და შენარჩუნება, რაც მოიცავს აღნიშნულ მოდელებში გამოყენებული მონაცემთა წყაროების სანდოობის, დამოუკიდებლობის, დროულობისა და თანმიმდევრულობის შემოწმებას;

7. შიდა აუდიტორები რეგულარულად უნდა აფასებდნენ რისკებსა და ანგარიშგების ფუნქციების კომუნიკაციის პროცესის ეფექტურობას, რათა შესაძლებელი იყოს დროული, ზუსტი, სანდო და სათანადო ანგარიშგებების მომზადება როგორც შიდა მენეჯმენტის, ასევე ზედამხედველისათვის.
8. გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა, იმის გათვალისწინებით, რომ ადეკვატური და ეფექტური შიდა აუდიტის ფუნქციის უზრუნველყოფა დირექტორისა და დირექტორს ვალდებულებაა, შიდა აუდიტის ფუნქციის მიერ ანგარიშგება უნდა ხდებოდეს დირექტორთან იდენტიფიცირებულ არსებით საკითხებსა და შეფასების შედეგებზე, დროული გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი რეაგირების შესახებ, რაც ასევე განხილულ უნდა იქნას დირექტორთან. შესაბამისი სტატუსი მიღებული ზომების, შედეგებისა და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს.
9. შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულარული კომუნიკაცია უნდა იყოს შიდა აუდიტის ფუნქციასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის ფუნქციამ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკებისა და ხარვეზების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია „კომპანიის“ დირექტორის მიერ მიღებული მაკორექტირებელი და რისკის შემცირების ზომების შესახებ, ისევე როგორც, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამის ანგარიშებზე დაყრდნობით, მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაცია.
10. აუდიტის კომიტეტი ვალდებულია, სულ მცირე, ყოველწლიურად შეაფასოს შიდა აუდიტის ფუნქციის საქმიანობა.

აქციონერთა/პარტნიორთა/ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები

1. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან;
- ბ) გაასაჯაროს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებებისა და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ;
- გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა;

2. საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერები/პარტნიორები კარგად აცნობიერებდნენ კორპორაციული მართვის პრინციპებს და უნდა მისცეს მათ შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, მისცეს მათ საშუალება გამოთქვან თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.

3. აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

4. საწარმომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და პოტენციურ აქციონერებთან/პარტნიორებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის დანერგვა. აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის წევრებისგან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორმა, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უნდა უზრუნველყონ ეფექტური და სამართლიანი ურთიერთობა აქციონერებთან/პარტნიორებთან და ხელი შეუწყონ აქციონერების/პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.

6. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორმა უნდა უპასუხოს აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

7. საწარმომ უნდა გაასაჯაროს 6 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.

კარი XIV

ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

1. „კომპანია“ ვალდებულია დაინტერესებულ მხარეებთან გაამჟღავნოს ინფორმაცია თავის საქმიანობაზე, ისევე როგორც, კორპორაციული მართვის საკითხებზე, მათ შორის, საკუთარ ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით;
2. საწარმოს უნდა გაჩნდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჟღავნების ადეკვატურ დონეს.
3. საწარმოს ვებ-გვერდი გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს, რათა ინვესტორებსა და დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე
4. მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.
5. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის გააზრებული უნდა ჰქონდეთ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და ინტერესები და უზრუნველყონ მათთან ეფექტური ურთიერთობა.

უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების შესახებ შეტყობინებისთვის ელექტრონული მისამართი: information.center@igdevelopment.ge

ანაზღაურების პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

1. ანაზღაურების პოლიტიკა

- 1.1. მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება.
- 1.2. საწარმოს დოკუმენტურად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომბინაციებს, მათ შორის, ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, ბონუსური სისტემის ელემენტებს და ასევე გადახდების გრაფიკებისა და პერიოდულობის საკითხებს.
- 1.3. ანაზღაურების თაობაზე კორპორაციული მართვის ანგარიშში გამჟღავნების მიზნით უნდა მომზადდეს ანგარიში, სადაც გამჟღავნებული უნდა იყოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურების ოდენობა და ნებისმიერი სარგებელი. ასევე, ნებისმიერი ცვლილება, რაც განხორციელდება ანაზღაურების პოლიტიკაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ნათლად უნდა იყოს ასახული ანაზღაურების ანგარიშში.
- 1.4. დირექტორის მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც სულ მცირე, ყოველწლიურად გადახედავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს.
- 1.5. სამეთვალყურეო საბჭომტკიცებს, შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა (არსებობის შემთხვევაში) და არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას.
- 1.6. სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტის რეკომენდაციით, ამტკიცებს დირექტორის ანაზღაურების პოლიტიკას და კონტროლის ფუნქციებს, და მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემებისა და შესაბამისი კონტროლის ფუნქციების ეფექტურ ფუნქციონირებას.
- 1.7. „კომპანია“ უნდა შეიმუშაოს ანაზღაურების პოლიტიკა მთელი პერსონალისთვის.
- 1.8. ანაზღაურების პოლიტიკა სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:
 - ა) ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტების განსაზღვრებებს;
 - ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს;
 - გ) მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს;
 - დ) კავშირს ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;
 - ე) პრემიების სქემის პირობებს და პარამეტრებს;
 - ვ) სხვა არაფულად ანაზღაურებას (საწარმოს აქციები, ოფციონები საწარმოს შეძენაზე, დაზღვევა, საპენსიო სქემა და ა.შ.).
- 1.9. ანაზღაურება უნდა ასახავდეს რისკის აღებასა და რისკის შედეგებს. თუ ანაზღაურება ეფუძნება პოტენციურ სამომავლო შემოსავლებს, „კომპანია“ უნდა დაადგინოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები შესრულების გასაზომად.
- 1.10. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, ისეთი

ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა გაწეული ძალისხმევა, დროის რესურსი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობები. მათი ანაზღაურება რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ მიუკერძოებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეიძლება მოიცავდეს ფიქსირებულ და ცვალებად ანაზღაურებას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დამატებით ანაზღაურებას შეიძლება იღებდეს იმ შემთხვევაში, თუ წევრი არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრი ან თავმჯდომარე.

1.11. დირექტორის ანაზღაურების სისტემა უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ელემენტებს:

ა. ფიქსირებული ანაზღაურება, რაც პირველ რიგში უნდა ასახავდეს შესაბამის პროფესიულ გამოცდილებასა და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, როგორც ეს გათვალისწინებულია დირექტორის სამუშაო აღწერილობაში, რომელიც წარმოადგენს სამუშაო პირობების ნაწილს;

ბ. ცვალებადი ანაზღაურება, რომელიც უნდა ასახავდეს საქმიანობის შედეგებს რისკების გათვალისწინებით.

2. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

2.1. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეიმუშაოს წევრთა უნარების ოფიციალური ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შორის შესაბამისი უნარების ფართო სპექტრის არსებობას, ხოლო პოტენციური ახალი წევრები შერჩევის პროცესში აღნიშნული ჩამონათვალის მიხედვით უნდა შეფასდნენ.

2.2. სამეთვალყურეო საბჭომ პერიოდულად უნდა გადახედოს საკუთარ სტრუქტურას, ზომასა და შემადგენლობას, ისევე, როგორც კომიტეტების სტრუქტურებსა და კოორდინაციას, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობას, საკუთარი მმართველობითი პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტურობას.

2.3. სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს საკუთარი საქმიანობის, სულ მცირე ყოველწლიურად, შეფასების პროცედურები. მან ასევე უნდა უზრუნველყოს პროცედურების არსებობა სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების საქმიანობის თავადვე ან გარე ექსპერტების დახმარებით, სულ მცირე ყოველწლიურად, შესაფასებლად.

2.4. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ შეფასება უნდა მოხდეს მოწვეული შემფასებლების მიერ.

2.5. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შიდა და გარე შეფასებების მიზანია ისეთი საკითხების გამოვლენა, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასებებზე დაყრდნობით სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაგეგმოს როგორ გააუმჯობესოს საკითხები, რომლებიც დახვეწას საჭიროებენ. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ტრენინგებსაც